

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<b>მიზანი 1.</b>	<b>ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება</b>				
<b>ამოცანა 1.1.</b>	<b>საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშება (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები)</b>				
1.1.1. საგარეო ვაჭრობის ინდექსების წარმოება (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) პოზიციების მიხედვით	წარმოებული ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები (UVI) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) პოზიციების მიხედვით	საგარეო ვაჭრობის ერთეულის ღირებულების ინდექსები გამოქვეყნებული საქსტატის ვებგვერდზე: <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a>	სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური		გაანგარიშდა საგარეო ვაჭრობის კვარტალური ინდექსები (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) პოზიციების მიხედვით. მონაცემები ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-გვერდზე შემდეგ ბმულზე: <a href="https://www.geostat.ge/ka/modules/categories/713/sag-areo-vachrobis-erteulis-ghirebulebis-indeksebi">https://www.geostat.ge/ka/modules/categories/713/sag-areo-vachrobis-erteulis-ghirebulebis-indeksebi</a>
<b>ამოცანა 1.2.</b>	<b>საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სარკისებური შედარება</b>				
1.2.1. საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ვაჭრობის სტატისტიკაში არსებული უმსხვილესი ასიმეტრიების გამოვლენა სარკისებური შედარების გზით და მონაცემების განსხვავების ძირითადი მიზეზების დადგენა	ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნუსხა სასაქონლო პოზიციების მიხედვით, სადაც იდენტიფიცირებულია უმსხვილესი ასიმეტრია	შესაბამის სავაჭრო პარტნიორთან საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სარკისებური შედარების ანგარიში: <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a>	სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი	მომზადდა საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სარკისებური შედარების ანგარიში, რომელიც გავრცელდა საქსტატის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <a href="https://www.geostat.ge/pdf/Report%20on%20mirror%20%20comparison%20in%20IMTS.PDF">https://www.geostat.ge/pdf/Report%20on%20mirror%20%20comparison%20in%20IMTS.PDF</a>
<b>ამოცანა 1.3.</b>	<b>მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება</b>				
1.3.1. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის საპილოტე გამოკვლევის ჩატარება	მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები მომსახურების სახეების და ქვეყნების მიხედვით	მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის საპილოტე გამოკვლევის ანგარიში	სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	საქართველოს ეროვნული ბანკი	2020 წლის ბოლოს ჩატარდა მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის საპილოტე გამოკვლევა 2020 წლის III კვარტალის შედეგების საფუძველზე. 2021 წლიდან აღნიშნულმა გამოკვლევამ მიიღო რეგულარული ხასიათი. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის გამოქვეყნება დაგეგმილია 2023 წლიდან.

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<b>მიზანი 2.</b>	<b>ევროკავშირის ტერიტორიაზე ექსპორტის ხელშეწყობა</b>				
<b>ამოცანა 2.1.</b>	<b>ევროკავშირის ტერიტორიაზე საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია</b>				
2.1.1 ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებში და სავაჭრო მისიებში ქართული კომპანიების მონაწილეობის ხელშეწყობა	<p>ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებსა და სავაჭრო მისიებში მონაწილე ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა</p> <p>ევროკავშირის ქვეყნებში გამართული გამოფენებისა და სავაჭრო მისიების რაოდენობა</p>	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები: <a href="http://enterprisegeorgia.gov.ge">enterprisegeorgia.gov.ge</a>	სსიპ აწარმოე საქართველოში		<p>2021 წლის მონაცემებით ევროკავშირის ტერიტორიაზე ჩატარდა 7 ღონისძიება, სადაც სულ მონაწილეობა მიიღო 27-მა უნიკალურმა ქართულმა კომპანიამ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- იტალიის ქალაქ ფლორენციაში გამართულ ღონისძიებაზე Pitti Immagine Bimbo 5 ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა;</li> <li>- პარიზში გამართულ ღონისძიებაზე Playtime Marketplace 2021 4 ქართული კომპანია დაფიქსირდა;</li> <li>- პარიზის მოდის კვირეულში PARIS FASHION WEEK FW21 კი 3 ქართული კომპანია იღებდა მონაწილეობას;</li> <li>- იტალიის ქალაქ ფლორენციაში გამართულ ღონისძიებაზე Pitti Immagine Bimbo 3-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა;</li> <li>- იტალიის ქალაქ მილანში და ვიჩენცაში გამართულ ღონისძიებაზე Fashion Weeks 2021 3-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა;</li> <li>- პარიზში გამართულ ღონისძიებაზე Fashion Week 2021 2 ქართული კომპანია დაფიქსირდა.</li> <li>- გერმანიის ქალაქ კიოლნში საკვები და სასმელი პროდუქტების საერთაშორისო გამოფენაში Anuga 2021 16 ქართული კომპანია იღებდა მონაწილეობას.</li> </ul> <p>ევროკავშირის ტერიტორიის გარეთ, სააგენტოს მხარდაჭერით არაბთა გაერთიანებული საამიროების ქალაქ დუბაიში გამართულ ღონისძიებაზე GulFood 2021 მონაწილეობა მიიღო 14-მა ქართულმა კომპანიამ. ხოლო ჩინეთში, ქალაქ შანხაიში გამართულ ღონისძიებაზე</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>SHANGHAI FASHION WEEK FW21 2-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.</p> <p>ლონდონში გამართულ ღონისძიებაზე Fashion Weeks 2021 1 ქართული კომპანია დაფიქსირდა.</p> <p>SHANGHAI FASHION WEEK FW21 3-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.</p> <p>სინგაპურში გამართულ ღონისძიებაზე FaShion Weeks 2021 1 ქართული კომპანია დაფიქსირდა.</p> <p>სულ 2021 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 60 თანადაფინანსების ფაქტი და 45 უნიკალური ბენეფიციარი.</p>
<b>ამოცანა 2.2.</b>	<b>მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება</b>				
2.2.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და/ან ტექნიკური მხარდაჭერის კუთხით	<p>შექმნილი ან/და გაფართოებული საწარმოების რაოდენობა</p> <p>ევროკავშირის ბაზარზე დაშვების მიზნით გაწეული კონსულტაციების რაოდენობა</p>	<p>სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები: <a href="http://enterprisegeorgia.gov.ge">enterprisegeorgia.gov.ge</a></p>	<p>სსიპ აწარმოე საქართველოში</p>		<p>2021 წლის მონაცემებით ინდუსტრიულ კომპონენტში 433 ახალი ხელშეკრულება გაფორმდა. მათ შორის 345 ხელშეკრულება გაფორმდა საწარმო პროექტებთან დაკავშირებით, 77 სასტუმრო ინდუსტრიის, 9 ხელშეკრულება ტურისტული სერვისების მიმართულებით და 2 სარესტორნო მიმართულებით. ახალ პროექტებზე ჯამური ინვესტიციის მოცულობა 884.8 მილიონ ლარს აჭარბებს. ასევე, დაგეგმილია 6,900-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა. მიმდინარე პერიოდში სააგენტომ 43.7 მილიონი ლარი გასცა. ამავე პერიოდში ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტით 7-მა საწარმომ და 2-მა სასტუმრომ ისარგებლა.</p>
<b>ამოცანა 2.3.</b>	<b>მცირე და საშუალო ბიზნესების შესაძლებლობების განვითარება ექსპორტის მიმართულებით</b>				
2.3.1. მცირე და საშუალო ბიზნესების ექსპორტის მენეჯერების გადამზადება	<p>სერტიფიცირებულ ექსპორტის მენეჯერთა რაოდენობა</p>	<p>სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები: <a href="http://enterprisegeorgia.gov.ge">enterprisegeorgia.gov.ge</a></p>	<p>სსიპ აწარმოე საქართველოში</p>	<p>შესაბამისი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება</p>	<p>2021 წელს წარმატებით განცორციელდა 3 ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი. ტრენინგის შედეგად, წლის განმავლობაში 70 ახალი ექსპორტის მენეჯერი იქნა სერტიფიცირებული.</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
2.3.2. ევროპის მეწარმეთა ქსელში (EEN) მეწარმეთა მონაწილეობის ხელშეწყობა	ქართული კომპანიების რაოდენობა, რომელთაც კონსულტაციები გაეწიათ EEN-ის პლატფორმაზე დასარეგისტრირებლად	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები: enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		2021 წლის მონაცემებით EEN-ის პლატფორმასთან დაკავშირებით სააგენტოს მხრიდან კონსულტაცია გაეწია 15-მდე დაინტერესებულ პირს.
2.3.3. Trade with Georgia პლატფორმის პოპულარიზაცია და გამოყენების ზრდა	პლატფორმაზე დარეგისტრირებული კომპანიების რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები: enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		სსიპ აწარმოე საქართველოს ხელშეწყობით, 2021 წლის მდგომარეობით პლატფორმაზე 569 კომპანიაა რეგისტრირებული.
2.3.4. კონსულტაციების გაწევა წარმოების და პროდუქტების საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან დაკავშირებით	ბენეფიციარების რაოდენობა რომელთაც გაეწიათ კონსულტაცია საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან დაკავშირებით	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები: enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		საანგარიშო პერიოდში კონსულტაცია გაეწია 500-მდე პირს.
<b>მიზანი 3.</b>	<b>ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკასთან</b>				
<b>ამოცანა 3.1.</b>	<b>კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შესახებ შეთანხმების III-A დანართის შესაბამისად</b>				
3.1.1. ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი III-A შესაბამისად ტექნიკური რეგლამენტების მიღება და უკვე დაახლოებული კანონმდებლობის გადახედვა III-A დანართში მითითებულ შეცვლილ და განახლებულ დირექტივებთან და რეგულაციებთან თავსებადობის შემოწმების ან მათთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით	მიღებული ტექნიკური რეგლამენტები;  საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები	matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		ევროპის პარლამენტის და საბჭოს № 214/53/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით, მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტის რადიოაპარატურის შესახებ დამტკიცების თაობაზე“, მომზადდა რადიოაპარატურის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA), გაიმართა შეხვედრა კერძო სექტორთან, რეგლამენტის პროექტი საჯარო უწყებებს გაეგზავნათ კომენტარებისთვის, რის შემდეგაც განხორციელდება გადამუშავებული რეგლამენტის პროექტის დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის.

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს მიერ ევროპის პარლამენტის და საბჭოს 214/53/EC დირექტივის ჰარმონიზებული სტანდარტები სრულად მიღებულია საქართველოს სტანდარტად.
3.1.2. ტექნიკური რეგლამენტის მომზადება სამედიცინო მოწყობილობების შესახებ 2017 წლის 5 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/745/EU რეგულაციის მიხედვით	ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი; შესწავლილია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და მომზადებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტის ჩარჩო დოკუმენტი	სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ტექნიკური რეგლამენტის პროექტის ჩარჩო დოკუმენტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს მიერ აღნიშნული რეგულაციის ჰარმონიზებული სტანდარტები სრულად მიღებულია საქართველოს სტანდარტად. ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შემუშავების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.
3.1.3 ტექნიკური რეგლამენტის მომზადება ინვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების შესახებ 2017 წლის 5 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/746/EU რეგულაციის მიხედვით	ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი; შესწავლილია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების პრაქტიკა და მომზადებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტის ჩარჩო დოკუმენტი	სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ტექნიკური რეგლამენტის პროექტის ჩარჩო დოკუმენტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს მიერ აღნიშნული დირექტივის ჰარმონიზებული სტანდარტები სრულად მიღებულია საქართველოს სტანდარტად. ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შემუშავების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.
3.1.4 მეტროლოგიის სფეროში დირექტივებთან MID (დირექტივა გაზომვის საშუალებების შესახებ) და NAWI (დირექტივა არა ავტომატური ასაწონი საშუალებების შესახებ) კანონმდებლობის დაახლოების	საქართველოს სტანდარტად მიღებული MID და/ან NAWI დირექტივასთან ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტი/ები, პრიორიტეტული სტანდარტი/ები	სააგენტოს გენერალური დირექტორის განკარგულება სანდარტის მიღების თაობაზე	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		ძირითადი აქტივობები აღნიშნულ დირექტივებთან დაახლოებისათვის გათვალისწინებულია დაგეგმილი ტვინინგ პროექტის ფარგლებში, მათ შორის პრიორიტეტული გაზომვის საშუალებების შერჩევა და შიდა პროცედურების პროექტების მომზადება. აღნიშნული დირექტივების ჰარმონიზებული სტანდარტები მიღებულია საქართველოს სტანდარტად. EUD-ს ორგანიზებით ჩატარდა

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
პროცესისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება	თარგმნილია ქართულ ენაზე				ტვინინგ პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის შერჩევის პროცედურები და შერჩეულ იქნა შესაბამისი კონსორციუმი, პროექტის დაწყება დაგეგმილია მომავალი წლიდან.
3.1.5 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების საქართველოს სტანდარტებად მიღება, მათ შორის DCFTA შეთანხმების TBT III-A დანართში მითითებული სექტორულ დირექტივებთან ჰარმონიზებული სტანდარტების	საქართველოს სტანდარტად მიღებული ევროპული და/ან საერთაშორისო სტანდარტების რაოდენობა	სააგენტოს გენერალური დირექტორის განკარგულებაში სტანდარტების მიღების თაობაზე	სსიპ საქართველოს სტანდარტების ა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)		2021 წლის მდგომარეობით საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო მიერ საქართველოს სტანდარტად (სსტ) სულ დარეგისტრირდა 3 163 სტანდარტი, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> <li>• სსტ ისო, იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) – 319;</li> <li>• სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) – 2 844.</li> </ul>
<b>ამოცანა 3.2.</b>	<b>ტექნიკური რეგულირების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის ადმინისტრირებისათვის საჭირო ინსტიტუციური და ინფრასტრუქტურული განვითარება</b>				
3.2.1 პრიორიტეტული მიმართულებებით ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით	შეთავაზებული სერვისების გაზრდილი რაოდენობა და დიაპაზონი (გაზომვის 1 მიმართულებით ეტალონური ლაბორატორიებისათვის ხელსაწყოების შექმნა)	გაცემული დაკალიბრების სერტიფიკატების რაოდენობა  სააგენტოს წლიური ანგარიში	სსიპ საქართველოს სტანდარტების ა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		2021 წლის განმავლობაში შექმნილი და მოწოდებული იქნა სპეციალური თერმოსტატი/კალიბრატორი, ასევე ავტომატური და ნახევრადავტომატური სისხლის წნევის გამზომი აპარატების კალიბრატორი და მეგერების დასაკალიბრებელი ხელსაწყო, დასრულდა ასევე ე.წ. სამედიცინო ყურის ტერმომეტრის, ფიქსირებული გაზომვისათვის pH ელექტროდებისა და რადიოფიზიკური გაზომვისათვის სპეციალური ადაპტერების შექმნის პროცედურები. გერმანული რეგიონალური პროექტის “Strengthening the Quality Infrastructure in the Countries of the Southern Caucasus” მიერ სააგენტოსათვის შექმნილ და მოწოდებულ იქნა: სითხეების სიმკვრის გაზომვის ეტალონური აღჭურვილობა; ინფრაწითელი ლაზერული ე.წ. უკონტაქტო თერმომეტრების დასაკალიბრებელი აღჭურვილობა. სააგენტო 2021 წლიდან უკვე სთავაზობს დამკვეთებს ახალ სერვისს

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					სითხეების სიმკვრის გაზომვის სფეროში, - არომეტრების დაკალიბრების მომსახურებას.
3.2.2 მეტროლოგიის სფეროში პრიორიტეტული ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების და/ან მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება	სააგენტოს აღიარებული დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების CMC ჩანაწერების რაოდენობა	ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მონაცემთა ბაზა <a href="http://www.bipm.org">www.bipm.org</a>	სსიპ საქართველოს სტანდარტების ა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		2021 წლის მდგომარეობით მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გაზომვის მიმართულებებში გამოქვეყნდა სააგენტოს მეტროლოგიის ინტიტუტის 4 ახალი სერვისი - დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობები CMC ჩანაწერი მცირე მოცულობის სფეროში. 1 CMC და ტენიანობის სფეროში 3 CMC ჩანაწერი. ჯამში სააგენტოს აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა შეადგენს 65 CMC ჩანაწერს.  საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების, ასევე გაზომვათა მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოს ეტალონებისა და გაზომვის საშუალებები დასაკალიბრდა შესაბამის მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტებში: CMI ჩეხეთი, BelGIM ბელგორუსი, უკრმეტრეტესტანდარტი უკრაინა, კიევი, ასევე დიდი ბრიტანეთი.
3.2.3 სტანდარტების დეპარტამენტში ISO 9001:2015 შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სერტიფიცირების პროცესის დაწყება	სტანდარტების დეპარტამენტში შემუშავებული და დანერგილი ISO 9001:2015 შესაბამისი პროცედურები	სააგენტოს წლიური ანგარიში  ტვინინგ პროექტის ანგარიშები	სსიპ საქართველოს სტანდარტების ა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში შემუშავებულია ISO 9001:2015 შესაბამისად ხარისხის მენეჯმენტის სისტემის (QMS) დანერგვისათვის საჭირო დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი.  ძირითადი აქტივობები სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში QMS-ის დანერგვასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ტვინინგ პროექტის ფარგლებში.
3.2.4 მეტროლოგიის სფეროში ახალი მიმართულებით სტანდარტული ნიმუშების - ISO 17034:2016 შესაბამისად სერვისების	მომზადებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO 17034:2016 შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის	სააგენტოს წლიური ანგარიში  Twinning პროექტის ანგარიშები	სსიპ საქართველოს სტანდარტების ა და მეტროლოგიის		სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში საერთაშორისო სტანდარტის ISO 17034: 2016 დანერგვის პროცესი საწყის ეტაპზეა, შემუშავებულია გარკვეული დოკუმენტებისა და პროცედურების პროექტები, გერმანელი

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
შეთავაზებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება	დანერგვისათვის საჭირო დოკუმენტები და პროცედურები		ეროვნული სააგენტო		ექსპერტების მონაწილეობით ტარდება: ონლაინ კონსულტაციები, სემინარები.  ძირითადი აქტივობები სააგენტოში აღნიშნული სტანდარტის სრულად დანერგვისათვის გათვალისწინებულია დაგეგმილი ტვინინგ პროექტის ფარგლებში, რომლის განხორციელებაც დაიწყება 2022 წლიდან.
3.2.5 რისკის შეფასების სისტემის დანერგვა ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსათვის	დანერგილი რისკის შეფასების სიტემა	უწყების წლიური ანგარიში	სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო		ევროკავშირის პროექტის „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა - II ფაზა“ მხარდაჭერით დასრულდა მუშაობა რისკის შეფასების სისტემის (პროგრამის) კონცეფციაზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ექსპერტის შერჩევა სისტემის საბოლოოდ მომზადებისათვის.
3.2.6 საფრთხის შემცველი პროდუქტების შესახებ ინფორმაციული ელექტრონული სისტემის შექმნა	შექმნილი საფრთხის შემცველი პროდუქტების შესახებ ინფორმაციული ელექტრონული სისტემა	უწყების წლიური ანგარიში	სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო		რისკის შეფასების სისტემის დანერგვა და სააგენტოს ვებ-გვერდი ერთობლივად უზრუნველყოფს აქტივობის განხორციელებას, კერძოდ, ელექტრონული სისტემის შექმნასა და მომხმარებლებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. საფრთხის შემცველი პროდუქტების შესახებ ინფორმაციული ელექტრონული სისტემა ინტეგრირებული იქნება ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ვებგვერდზე.  სააგენტოს ვებ-გვერდზე მუშაობა დასრულების სტადიაზეა.
3.2.7 სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება	შემუშავებული და დამტკიცებული ინსტიტუციური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია	სააგენტოს უფროსის ბრძანება	სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო		ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის (EU) 2019/1020 რეგულაციის თანახმად, ევროკავშირმა წევრ სახელმწიფოებს მითითება მისცა ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგია შეიმუშავონ 2022 წლისთვის. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ სააგენტომ სტრატეგია შეიმუშავოს არაუადრეს 2022 წლისა, რათა დავეყრდნოთ აღნიშნული ქვეყნების გამოცდილებას.

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
3.2.8 აკრედიტაციის ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება და აკრედიტაციის სქემების შემუშავება აკრედიტაციის განსახორციელებლად შესაბამისობის შეფასების სხვადასხვა სფეროებში	შექმნილი აკრედიტაციის სქემების რაოდენობა	შემუშავებული სქემა/სქემები, როგორც ნებაყოფლობით ისე რეგულირებად სფეროებში  Gac.gov.ge	სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2020 წლის განმავლობაში DCFTA-ის TBT-ის ნაწილით გათვალისწინებული ევროპული დირექტივების/რეგულაციების შესაბამისად შემუშავდა აკრედიტაციის სფერო 4 პროდუქტისათვის, მათ შორის: საზაგარო გზების, მანქანა დანადგარების, პერსონალური დაცვის საშუალებების და სათამაშოების ევრო დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად.
3.2.9 აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის დიჯიტალიზაციის პროგრამის შექმნისათვის ტექნიკური დავალების მომზადება	მომზადებული ტექნიკური დავალება	მომზადებული ტექნიკური დავალება	სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2021 წელს მომზადდა ტექნიკური დავალება და დასრულდა ტენდერი აკრედიტაციის ცენტრის სერვისების გაციფრულების მიზნით შესაბამისი კომპანიის შესარჩევად. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და გაიმართა ტექნიკური შეხვედრა სამუშაოების დასაგეგმად. პროგრამის სატესტო რეჟიმში გაშვება დაგეგმილია 2022 წლის მეორე კვარტალში.
<b>ამოცანა 3.3.</b>	<b>დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ეკონომიკური ოპერატორების მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა დაახლოებული კანონმდებლობის იმპლემენტაციისთვის</b>				
3.3.1 დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შეხვედრების/სემინარების ორგანიზება	ჩატარებული შეხვედრების/სემინარების რაოდენობა;  დამსწრეთა რაოდენობა	სემინარების/ შეხვედრების დამსწრეთა სია  მომზადებული საინფორმაციო მასალები	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო;  სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო;  სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო -		<b>სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო:</b>  დასრულდა სტანდარტიზაციის ახალი ტექნიკური კომიტეტის "გზები საავტომობილო და საგზაო მოძრაობის რეგულირება" (ტკ 8) დებულების განხილვისა და მიღების პროცედურები. განახლდა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტების „ელექტროტექნიკური“ (ტკ 1), „ბუნებრივი გაზი“ (ტკ 6) წევრების შემადგენლობა.  COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე კომიტეტების შეხვედრები და სტანდარტების განხილვის პროცედურები მიმდინარეობს ონლაინ ფორმატში.

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
			აკრედიტაციის ცენტრი		<p>GEOSTM-ს, ლატვიის სტანდარტების ორგანოსა (LVS) და კორპორაცია ტილდესთან (Tilde) ერთად განხორციელდა ლატვიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გრანტი „საქართველოს საჯარო სექტორში თანამედროვე ენობრივი ტექნოლოგიების გამოყენებისათვის მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობა, სტანდარტიზაციის სისტემაში ავტომატური თარგმანის გადაწყვეტილებების შეთავაზებით და მანქანური თარგმანის პლატფორმის შესაძლებლობების გაფართოებით“. პროექტის პარტნიორი იყო საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. პროექტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები მანქანური თარგმანის თავისებურებებით დაინტერესებულ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.</p> <p><b>სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო:</b></p> <p>2021 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ განხორციელდა სექტორული შეხვედრები შემდეგ სფეროებში: სამშენებლო პროდუქტები, სათამაშოები, ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობები, აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები, მანქანა-დანადგარები (ჯამში 13 შეხვედრა - ჩატარებული ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, რომლებსაც დაესწრო 72 დაინტერესებული პირი).</p> <p><b>სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“</b></p> <p>2021 წლის განმავლობაში გაიმართა აკრედიტაციის საბჭოს 2 სხდომა. პირველი სხდომა გაიმართა 20 აპრილს, რომელზეც განხილულ იქნა აკრედიტაციის ცენტრის</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>საქმიანობასთან დაკავშირებით ცნობიერების გაზრდის საკითხები და პანდემიის სიტუაციის გათვალისწინებით დაიგეგმა შემდგომი ღონისძიებები. მეორე სხდომა გაიმართა 15 დეკემბერს, რომელზეც განხილული იყო აკრედიტაციის ცენტრის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოები და სამომავლო გეგმები. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია აკრედიტაციის ცენტრში მიმდინარე გაციფრულების პროექტთან და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტვინინგის პროექტთან დაკავშირებით.</p> <p>აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტმა ივნისის თვეში გამართა შეხვედრა სამშენებლო სფეროს კლასტერში შემავალი კომპანიების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა აკრედიტებული ორგანიზაციების საქმიანობის, სამშენებლო და სამშენებლო სფეროსთან მომიჯნავე საქმიანობებში, კიდევ უფრო ფართოდ გამოყენების შესახებ. შეხვედრებში მონაწილეა მიიღო 30 ორგანიზაციის წარმომადგენელმა, როგორც კერძო ისე არასამთავრობო სექტორიდან.</p>
<p>3.3.2 აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებისთვის ტრენინგების ორგანიზება მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სტანდარტების სფეროში და სხვა აკრედიტაციის სფეროში მოქმედი საერთაშორისო და ევროპული ორგანიზაციების მიერ მიღებული</p>	<p>ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა</p> <p>ტრენინგებზე დამსწრე შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების რაოდენობა</p>	<p>უწყების წლიური ანგარიში</p> <p><a href="http://www.gac.gov.ge">www.gac.gov.ge</a></p>	<p>სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 2 ტრენინგი სამედიცინო ლაბორატორიების წარმომადგენლებისათვის. ტრენინგებში მონაწილეა მიიღო ცხრამეტმა პირმა, რომლებიც დასაქმებულები არიან აკრედიტებულ სამედიცინო ლაბორატორიებში.</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
სავალდებულო დოკუმენტების სფეროებში					
<b>ამოცანა 3.4.</b>	<b>შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შესამღებლობების გაძლიერება</b>				
3.4.1 სტანდარტიზაციასა და მეტროლოგიის სფეროში თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისათვის ჩატარებული სემინარების/ტრენინგების რაოდენობა	უწყების წლიური ანგარიში  geostm.ge	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		<ul style="list-style-type: none"> <li>გერმანული რეგიონალური პროექტის “Strengthening the Quality Infrastructure in the Countries of the Southern Caucasus” ფარგლებში ონლაინ რეჟიმში ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: pH-მეტრიის და დენსიმეტრიის (სიმკვრივის გაზომვების) სტანდარტული ნიმუშების წარმოების თემაზე; სტატისტიკური მეთოდებისა და ხარისხის კონტროლის შესახებ; ინფრაწითელი ე.წ. უკონტაქტო თერმომეტრების დაკალიბრების თეორიული და პრაქტიკულ საკითხებზე. „დაკალიბრების სერტიფიკატების მომზადება და ინტერპრეტაცია ISO/IEC 17025:2017 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად“, გამართა ონლაინ პრაქტიკული ტრენინგი ე.წ. ინფრაწითელი უკონტაქტო თერმომეტრების დაკალიბრების საკითხებზე „Virtual exchange on Infrared equipment“.</li> <li>სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის UNIDO, გლობალური ხარისხის და სტანდარტების პროგრამის GQSP ფარგლებში გამართულ ტრენინგებში: მეთოდის ვალიდაცია, ანალიზების ხარისხის კონტროლი და გაზომვის განუსაზღვრელობის შეფასება; რისკების მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება; ლაბორატორიის შიდა აუდიტი - ISO /IEC 17025: 2017; და ე.წ. ტრენინგების ტრენინგი (TOT), საქართველოს ეროვნული ექსპერტების</li> </ul>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>კომპეტენციის ასამაღლებად, ISO/IEC17025: 2017-ის შესაბამისად ლაბორატორიების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• COVID 19 პანდემიით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის მიერ წევრი-ქვეყნების მეტროლოგიის ეროვნული ინტიტუტების შეფასება (Peer-review) ხორციელდება დისტანციურ ან შერეულ (ჰიბრიდულ) რეჟიმში. აღნიშნულ შეფასებებში აქტიურად იყვნენ ჩართულები სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები, წამყვან აუდიტორებად, და ტექნიკურ ექსპერტებად.</li> <li>• 2021 წლის 30 მარტს ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს BIPM ორგანიზებით ჩატარდა ვიდეო სემინარი მონაცემთა ბაზის KCDB 2.0 ტექნიკურ შესაძლებლობებთან დაკავშირებით CMC ჩანაწერების შექმნის და მათი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე, მაიონიზებული გამოსხივების სფეროში.</li> <li>• 2021 წლის 20 აპრილს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს ვებინაში თემაზე „Connecting European Sustainable Finance to standardization“.</li> <li>• 2021 წლის 20 მაისს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის ელექტროტექნიკური კომისის (IEC) ეროვნული მდივნების სამუაშო შეხვედრაში.</li> </ul>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> <li>• 2021 წლის 26-27 მაისს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ გამართულ ვირტუალურ რეგიონალურ სესიაში თემაზე „პროდუქტის სერთიფიცირება“.</li> <li>• 2021 წლის 21-22 ივნისს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ვირტუალურ სესიაში “Steering Committee on Trade Capacity and Standards”.</li> <li>• 2021 წლის 24 ივნისს სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების (CEN, CENELEC, ETSI) გენერალურ ასაბლევაში.</li> <li>• 2021 წლის 30 ივნისს სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ გამართულ „ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ყოველთვიურ შეხვედრაში“.</li> <li>• 2021 წლის 10 სექტემბერს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების მიერ გამართულ სემინარში „Changes introduced in the CEN and CENELEC bylaws“.</li> </ul>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> <li>• 2021 წლის განმავლობაში სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების (ISO, IEC, CEN/CENELEC; BIPM, OIML, COOMET) გენერალურ ასამბლეასა და სხვადასხვა ტექნიკური კომიტეტების შეხვედრებში, სემინარებსა და ტრენინგებში, რომლებიც გაიმართა „ონლაინ“ ფორმატში.</li> <li>• 2021 წლის 30 ნოემბერს დეკემბერს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო CEN-სა და CENELEC-ის ვებინარში „Harmonized European standards under the Low Voltage Directive (LVD)“.</li> <li>• 2021 წლის 2-9 დეკემბერს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ISO-ს მიერ გამართულ ვებინარში „Digital Learning Solutions (DLS) Toolkit“.</li> </ul>
3.4.2 აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	აკრედიტაციის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული ტრენინგების და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	უწყების წლიური ანგარიში  www.gac.gov.ge	სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2021 წლის განმავლობაში აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებისთვის სულ ჩატარდა 74 ტრენინგი, რომელსაც ჯამში დაესწრო 376 მონაწილე.  საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებისა და მოწვეული ტექნიკური შემფასებლებისა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი დამატებითი ინფორმირების მიზნით მოეწყო გამოცდილების გაზიარების ღონისძიებები.

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<b>ამოცანა 3.5.</b>	<b>DCFTA-ის ვალდებულებების შესაბამისად ბაზარზე ზედამხედველობის აღსრულება</b>				
3.5.1 სსიპ-ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ საზედამხედველო სფეროებში ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება რისკის ანალიზის საფუძველზე	განხორციელებული შემოწმებების (დოკუმენტური და ტექნიკური) რაოდენობა	უწყების წლიური ანგარიში	სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო		<p>ხორციელდება ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები სააგენტოს საზედამხედველო პროდუქტებზე, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შემოწმდა 6714 სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება;</li> <li>• შემოწმდა 3535 სათამაშოს იმპორტის წინასწარი შეტყობინება;</li> <li>• შემოწმდა 319 აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობის იმპორტის წინასწარი შეტყობინება;</li> <li>• შემოწმდა 100 ინდივიდუალური დაცვის საშუალების იმპორტის წინასწარი შეტყობინება;</li> <li>• შემოწმდა 317 მანქანა-დანადგარების იმპორტის წინასწარი შეტყობინება;</li> <li>• შემოწმდა 43 ტიპის სამშენებლო პროდუქტი;</li> <li>• აღებულ იქნა სამშენებლო პროდუქტების 32 განსხვავებული ტიპის ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტებულ ლაბორატორიაში;</li> <li>• ინსპექტირება ჩაუტარდა 31 ეკონომიკური ოპერატორის 73 დასახელების სათამაშოს;</li> <li>• ინსპექტირება ჩაუტარდა 47 ეკონომიკური ოპერატორის 76 დასახელების გაზის მოწყობილობას;</li> <li>• ინსპექტირება ჩაუტარდა 20 ეკონომიკური ოპერატორის 37 დასახელების ინდივიდუალური დაცვის საშუალებას;</li> <li>• ინსპექტირება ჩაუტარდა 10 ეკონომიკური ოპერატორის 18 დასახელების მანქანა-დანადგარს;</li> <li>• ინსპექტირება ჩაუტარდა 55 ეკონომიკური ოპერატორის 88 დასახელების აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობას;</li> </ul>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> <li>ინსპექტირება ჩაუტარდა 6 ტიპის წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობას;</li> <li>ინსპექტირება ჩაუტარდა 6 ტიპის მარტივ წნევაზე მომუშავე მოწყობილობას.</li> </ul>
<b>მიზანი 4.</b>	სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობა და ადამიანების, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვა				
<b>ამოცანა 4.1.</b>	სანიტარული და ფიტოსანიტარული, ცხოველთა კეთილდღეობისა და სხვა საკანონმდებლო ღონისძიებების გაუმჯობესება				
4.1.1 საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართის შესაბამისად	შემუშავებული ნორმატიული აქტები  საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართში მითითებულ ევროკავშირის 16 საკანონმდებლო აქტთან	საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში / საჯარო სივრცეში (არანორმატიული აქტების შემთხვევაში) გამოქვეყნებული საქართველოს კანონმდებლობა  Matsne.gov.ge  Dcfta.gov.ge	საქართველო ს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტო	მიღებულია საქართველოს მთავრობის შემდეგი დადგენილებები: <ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 სექტემბერის №479 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „სურსათში/სურსათზე და /ან წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების წარმოებისათვის გამოსაყენებლად ავტორიზებული (დაშვებული) შესაბოლი არომატიზატორების პირველადი პროდუქტების შესახებ“;</li> <li>საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 ივნისი №290 დადგენილება „სურსათში ნიტრატების განსაზღვრისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის (გამოკვლევის) მეთოდების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;</li> <li>საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 სექტემბერი №480 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – სურსათში ან სურსათზე გამოყენებული ან გამოყენებისთვის განკუთვნილი შესაბოლი არომატიზატორების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე;</li> <li>საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 აგვისტო №439 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის – ელასტომერისაგან ან</li> </ul>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>რეზინისგან დამზადებული საწოვარასა და მატყუარა საწოვარას N – ნიტროზამინებისა და N – ნიტროზამინების წარმომქმნელი ნივთიერებებისაგან გამოთავისუფლების დამტკიცების შესახებ;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• „ტექნიკური რეგლამენტი - სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილ მასალებსა და ნაკეთობებში (საგნებში) ეპოქსიდური ფისების ზოგიერთი წარმოებულების გამოყენების შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 3 ნოემბრის N525 დადგენილება;</li> <li>• საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 აგვისტოს №497 დადგენილება "ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ";</li> <li>• „ხორცში ტრიქინელას სახელმწიფო კონტროლის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 დეკემბრის N 575 დადგენილება</li> <li>• „ტექნიკური რეგლამენტის – „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №443 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 თებერვლის N58 დადგენილება.</li> </ul> <p>მომზადებული იქნა შემდეგი საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები:</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> <li>„ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;</li> <li>ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლისათვის ნიმუშის აღებისა და გამოკვლევის მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.</li> </ul>
<b>ამოცანა 4.2.</b>	<b>ბიზნეს წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში, მომხმარებლებისა და უფლებების მფლობელთა ცნობიერების გაზრდა</b>				
4.2.1 ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული ქართული კანონმდებლობის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობის გაზრდა და მეწარმეთა ხელშეწყობა ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციაში	ჩატარებული ტრენინგების და სხვა ღონისძიებების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში dcfta.gov.ge	სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტო	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility) მხარდაჭერით, 2021 წლის 10 ივნისს, იმერეთისა და 11 და 12 ივნისს აჭარის რეგიონებში დარგობრივი ასოციაციების (რესტორატორთა ასოციაცია, გასტრონომიული ტურიზმის ბიზნესასოციაცია) ჩართულობით, საზოგადოებრივი კვების ობიექტების წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა სადაც სააგენტოს სპეციალისტებმა ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) პრინციპების დანერგვასთან დაკავშირებით. კორონავირუსის გლობალური პანდემიის გათვალისწინებით, შეხვედრებს ესწრებოდა მაქსიმუმ 25 ადამიანი.
<b>ამოცანა 4.3.</b>	<b>კომპეტენტური ორგანოს შესაძლებლობებისა და უნარების გაუმჯობესება</b>				
4.3.1 შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს თანამშრომლების ტრენინგი კანონმდებლობის	ჩატარებული ტრენინგების და სხვა ღონისძიებების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;	ევროკავშირის „ტვინინგი“ (TWINNING) “სანიტარული, ფიტოსანიტარული და სურსათის უვნებლობის სისტემის შემდგომი პროგრესის უზრუნველყოფა საქართველოში” პროექტის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტოს

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>შემუშავებასა და განხორციელებაში, კომპეტენტური ორგანოსთვის შესაძლებლობების განვითარების პროგრამის და ლაბორატორიული უნარების გაძლიერების კუთხით</p>		<p>dcfta.gov.ge</p>	<p>სამინისტრო</p>	<p>სსიპ - შემოსავლების სამსახური; სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია</p>	<p>თანამშრომლებისთვის ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები/ტრენინგები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ცხოველის საკვების ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების; ევროკავშირის რეფერენტული ლაბორატორიის ცხოველთა საკვებდანამატების ავტორიზაციის განცხადებებთან მიმართებაში და ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი დანამატები და საკვებდანამატების ავტორიზაციის შესახებ ტრენინგები ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2020 წლის 9 და 10 დეკემბერს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 8 თანამშრომელი.</li> <li>2. სურსათთან შეხებაში მყოფი მასალები, ბუნებრივი მინერალური წყლები და საკვები დანამატები - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2020 წლის 9 და 10 დეკემბერს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 6 თანამშრომელი.</li> <li>3. რეგულაცია (EC) 1107/2009 და ევროკავშირში მცენარეთა დაცვის საშუალებების შეფასებისა და ავტორიზაციის ერთიანი პრინციპების შესახებ რეგულაცია (EC) 546/2011; დირექტივა 2009/128/EC პესტიციდების მდგრადი გამოყენების შესახებ - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2020 წლის 21 დეკემბერს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 6 თანამშრომელი.</li> <li>4. სახელმწიფო (ოფიციალური) კონტროლის ზომები ხორცში ტრიქინელასათვის - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 26 იანვარს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 8 თანამშრომელი.</li> </ol>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>5. საკვები (სასურსათო) ფერმენტები და არომატიზატორები; სურსათის ეტიკეტირება; სწრაფად გაყინული სურსათი - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 27 და 28 იანვარს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 8 თანამშრომელი.</p> <p>6. ვაჭრობის კონტროლისა და ექსპერტიზის (TRACES) სისტემა - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 16 და 17 თებერვალს. პირველ დღეს მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 36 თანამშრომელი, ხოლო მეორე დღეს 30 თანამშრომელი.</p> <p>7. მცენარეთა პრიორიტეტული მავნე ორგანიზმების მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროგრამების შემუშავება □ ლატვიური გამოცდილების გაზიარება - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 31 მარტს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 7 თანამშრომელი.</p> <p>8. 3 სტრატეგიული გზამკვლევი ბრუცელოზზე, ტუბერკულოზსა და ლეიკოზზე - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 25 მარტს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 12 თანამშრომელი.</p> <p>9. ევროკავშირში რისკზე დაფუძნებული იმპორტის კონტროლის ზომები და დისკუსიები - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 22 და 24 მარტს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 7 თანამშრომელი.</p> <p>10. საინსტრუქციო სახელმძღვანელოების შემუშავება ცხოველთა განადგურების თაობაზე საჭირო ნიმუშებით - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>რეჟიმში, 2021 წლის 1 აპრილს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 7 თანამშრომელი.</p> <p>11. ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის პროგრამების შემუშავებაზე; ესტონეთში საგანგებო შემთხვევებისათვის დაგეგმარების პრაქტიკის პრეზენტაცია და გამოცდილების გაზიარებაზე ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 14 აპრილს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 8 თანამშრომელი.</p> <p>12. შეტყობინების სისტემების შემუშავებაზე; ესტონეთის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის მონაცემთა ბაზების პრეზენტაცია და გამოცდილების გაზიარებაზე ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 19 და 20 აპრილს. პირველ დღეს მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 11 თანამშრომელი, ხოლო მეორე დღეს 7 თანამშრომელი.</p> <p>13. საინსტრუქციო სახელმძღვანელოების პრეზენტაცია დაავადებათა აფეთქების შემთხვევაში ცხოველთა განადგურების საჭირო ნიმუშებით - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 13 მაისს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 5 თანამშრომელი.</p> <p>14. პრეზენტაცია მავნე ორგანიზმების რისკის ანალიზის (PRA) თაობაზე; ფიტოსანიტარიული ზომების შესახებ საერთაშორისო სტანდარტები მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPC) თანახმად - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 18 მაისს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 4 თანამშრომელი.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>15. პრეზენტაცია ევროკავშირში მცენარეთა ჯანმრთელობის კვლევითი პროგრამების თაობაზე - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 24 და 25 მაისს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 5 თანამშრომელი.</p> <p>16. საგანგებო გეგმის პროექტი ნოდულარული დერმატიტისათვის - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 11 ივნისს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 8 თანამშრომელი.</p> <p>17. დაავადებებისთვის სპეციფიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის პროგრამების შემუშავება: თევზის დაავადებები - პრეზენტაცია და დისკუსია თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიისა (VHS) და სისხლმზადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) შესახებ - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 15 ივნისს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 8 თანამშრომელი.</p> <p>18. ესტონეთსა და ლატვიაში ფიტოსანიტარიული საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) პრეზენტაცია, დისკუსია საქართველოში მომავალი საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) საჭიროების თაობაზე - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 15 და 16 ივნისს. პირველ დღეს მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 6 თანამშრომელი, ხოლო მეორე დღეს 4 თანამშრომელი.</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>19. სურსათისმიერი დაავადებების აფეთქებების ეპიდემიოლოგიური კვლევა: ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩო-სტრუქტურის, ლატვიური პრაქტიკისა და გამოცდილების პრეზენტაცია - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, 2021 წლის 5 ივლისს. მონაწილეობდა სურსათის ეროვნული სააგენტოს 3 თანამშრომელი.</p> <p>20. ტრენინგი (EU) No 546/2011 რეგულაციის იმპლემენტაციაზე - საერთო პრინციპები მცენარეთა დაცვის საშუალებების შეფასებისა და ავტორიზაციისათვის - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ, 2021 წლის 5-8 ივლისს და მასში ჩართული იყო 6 მონაწილე სურსათის ეროვნული სააგენტოდან;</p> <p>21. ტრენინგი: სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შერჩეული მავნებლებისათვის მავნებელთა რისკის ანალიზის მომზადება - ტრენინგი ჩატარდა ონლაინ, 2021 წლის 20-23 ივლისს და მასში ჩართული იყო 6 მონაწილე სურსათის ეროვნული სააგენტოდან;</p> <p>22. სემინარი: EC რეგულაცია (EU) No 540/2011 - მცენარეთა დაცვის საშუალებები. სემინარი ჩატარდა ონლაინ, 2021 წლის 31 აგვისტო-2 სექტემბერს და მასში ჩართული იყო 7 მონაწილე სურსათის ეროვნული სააგენტოდან;</p> <p>23. ტრენინგი: სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შერჩეული მავნებლებისათვის მავნებელთა რისკის ანალიზის მომზადება, მეორე ნაწილი. ტრენინგი ჩატარდა ონლაინ, 2021 წლის 28-30 სექტემბერს და მასში ჩართული იყო 5 მონაწილე სურსათის ეროვნული სააგენტოდან.</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>24. ღორის აფრიკული ჭირის საგანგებო გეგმის პროექტის პრეზენტაცია. პრეზენტაცია ჩატარდა სურსათის ეროვნულ სააგენტოში, 2021 წლის 8 ოქტომბერს და მასში ჩართული იყო 7 მონაწილე სურსათის ეროვნული სააგენტოდან;</p> <p>25. ტრენინგი: დაავადებათა აფეთქებების ეპიდემიოლოგიური კვლევები. ტრენინგი ჩატარდა სურსათის ეროვნულ სააგენტოში, 2021 წლის 13 ოქტომბერს და მასში ჩართული იყო 19 მონაწილე სურსათის ეროვნული სააგენტოდან;</p> <p>26. ტრენინგი: სურსათისმიერი დაავადებების აფეთქებათა კვლევა. ტრენინგი ჩატარდა სურსათის ეროვნულ სააგენტოში, 2021 წლის 20-21 ოქტომბერს და მასში ჩართული იყო 10 მონაწილე სურსათის ეროვნული სააგენტოდან;</p> <p>27. ტრენინგი: განახლებული სსპ-ები (სტანდარტული საოპერაციო პროცედურები) სასაზღვრო კონტროლისათვის და მათი განხორციელება (სსპ-ები არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და ცხოველის საკვების საიმპორტო კონტროლისათვის). ტრენინგი ჩატარდა შემოსავლების სამსახურში, 2021 წლის 22 ოქტომბერს და მასში ჩართული იყო 2 მონაწილე სურსათის ეროვნული სააგენტოდან.</p> <p>28. ტრენინგი: ფიტოსანიტარული სასაზღვრო ინსპექტორებისათვის. ტრენინგი გაიმართა ქ.თბილისში, შემოსავლების სამსახურში 2021 წლის 18 და 19 ნოემბერს. პირველ დღეს მონაწილეობა მიიღო 31-მა თანამშრომელმა, ხოლო მეორე დღეს 29 თანამშრომელმა.</p> <p>29. ტრენინგი: შემუშავებული დოკუმენტების საფუძველზე, სამსახურებრივი კონტროლის</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					განხორციელების შესახებ ტრენინგი. ჩატარდა როგორც თბილისში, სურსათის ეროვნული სააგენტოს საკონფერენციო დარბაზში, ასევე გორში 2021 წლის 15 და 16 დეკემბერს. პირველ დღეს მონაწილეობა მიიღო 12-მა თანამშრომელმა, ხოლო მეორე დღეს 16-მა თანამშრომელმა.
4.3.2 სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მიმართულებით ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების დანერგვა ან/და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება	შესაბამისი კვლევების რაოდენობა, რომლებიც დაემატება ლაბორატორიული მომსახურების (კვლევების) ჩამონათვალს (პრეისკურანტი)	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში dcfta.gov.ge	სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია	საქართველო ს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	<u>სურსათის კვლევის დეპარტამენტში დანერგილია და აკრედიტებულია კვლევის მეთოდები:</u> 1. თავლში - ნიტროიმიდაზოლების (დიმეტრიდაზოლი, იპრონიდაზოლი, ტინიდაზოლი) განსაზღვრა სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით 2. ფქვილში - სითეთრე და ხარისხის განსაზღვრა (GOST – 26 361-2013) 3. ხორცში და თევზში - ნიტროფურანების განსაზღვრა სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით; 4. ხორცში და თევზში - ქლორამფენიკოლის და ნიტროფურანების განსაზღვრა სკრინინგ მეთოდით (Randox Evidence Investigator); 5. ხორცში და თევზში - ანტიჰელმინთების განსაზღვრა სკრინინგ მეთოდით (Randox Evidence Investigator); 6. რძეში - ნიტროფურანების განსაზღვრა სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით; 7. რძეში - ქლორამფენიკოლის განსაზღვრა სკრინინგ მეთოდით (Randox Evidence Investigator) მეთოდით - (IV კვარტალი); 8. მარცვლეულში - აფლატოქსინის B1-ის და აფლატოქსინების ჯამის B1+B2+G1+G2 - ის განსაზღვრა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით.  <u>მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის მიმართულებით დაინერგა შემდეგი მეთოდები:</u>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>1. სველი სიდამპლის გამომწვევი ბაქტერიების <i>Dickeya</i> sp. პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით იდენტიფიკაცია;</p> <p>2. თესლოვანი და კურკოვანი ხეხილის ბაქტერიული კიბოს გამომწვევი ბაქტერია <i>Pseudomonas syringae</i> pv.<i>syringae</i> sp პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით იდენტიფიკაცია;</p> <p>3. კურკოვნების და ნუშის ბაქტერიული სილაქავის გამომწვევი ბაქტერია <i>Xanthomonas arboricola</i> pv <i>pruni</i> პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით იდენტიფიკაცია;</p> <p>4. კარტოფილის შავფეხას გამომწვევი ბაქტერია <i>Pectobacterium atrosepticum</i> პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით იდენტიფიკაცია;</p> <p>5. <i>Xiphinema diversicaudatum</i>-ის მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია;</p> <p>6. <i>Longidorus macrosoma</i>-ს მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია;</p> <p>7. კასია დასავლეთის (<i>Cassia occidentalis</i> L) მორფოლოგიურ-ბიოლოგიური რკვევა;</p> <p>8. კასია ტორას (<i>Cassia tora</i> L) მორფოლოგიურ-ბიოლოგიური რკვევა;</p> <p>9. ერთწლიანი სარეველა მხესუმზირას (<i>Helianthus lenticularis</i> Dough) მორფოლოგიური რკვევა;</p> <p>10. ნიადაგიდან სარეველა მცენარეების თესლების გამოყოფა;</p> <p>11. პომიდვრის ღეროს ნეკროზის გამომწვევი - <i>Pseudomonas corrugata</i>-ს გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია (გადაცემულია დასამტკიცებლად).</p> <p>12. <i>Sclerotium</i> sp. გვარის წარმომადგენლების(<i>S. sclerotiorum</i>, <i>S. trifoliorum</i>, <i>S. Minor</i> და <i>S.</i></p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>cepivorum) გამოყოფა, იდენტიფიკაცია, მორფოლოგიური თავისებურებები.</p> <p><u>ვეტერინალური მიმართულებით დაინერგა შემდეგი მეთოდები:</u></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ძაღლის ჭირის ვირუსის, გენომის დეტექცია მყისიერი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით Applied Biosystems ® 7500 FAST ინსტრუმენტის გამოყენებით;</li> <li>2. ცოფის ვირუსის დეტექცია მყისიერი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით Applied Biosystems ® 7500 FAST ინსტრუმენტის გამოყენებით;</li> <li>3. ორთოპოქს ვირუსის დეტექცია მყისიერი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით Applied Biosystems ® 7500 FAST ინსტრუმენტის გამოყენებით;</li> <li>4. ფუტკრის ნეზემატოზის დეტექცია მყისიერი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით Applied Biosystems ® 7500 FAST ინსტრუმენტის გამოყენებით;</li> <li>5. სალმონელას ტიპირება ბაქტერიოლოგიური მეთოდის საშუალებით.</li> </ol>
<p>4.3.3 სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალისტების გადამზადება, კონკრეტულ პროცედურულ საკითხზე სახელმძღვანელოს განახლება</p>	<p>ჩატარებული ტრენინგების, მასში მონაწილე სპეციალისტების რაოდენობა.</p> <p>მიღებული პროცედურული სახელმძღვანელო</p>	<p>უწყების წლიური ანგარიში</p> <p>rs.ge</p>	<p>შემოსავლების სამსახური</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს</p> <p>სურსათის ეროვნული სააგენტო</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტვინინგი: 16-17 თებერვალს ჩატარდა ონლაინ სწავლება ვეტერინარული, სურსათის უვნებლობის და ფიტოსანიტარული სასაზღვრო კონტროლის ინსპექტორებისთვის ევროკავშირის ელექტრონულ სისტემაში TRACES მუშაობის შესახებ - 20 მონაწილე</li> <li>• ტვინინგი: 22-24 მარტს ჩატარდა რისკზე დაფუძნებული მონიტორინგის გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა - 8 მონაწილე</li> <li>• ტვინინგი: 12-13 აპრილს ჩატარდა ონლაინ სამუშაო შეხვედრა - „პროდუქტების და ცოცხალი ცხოველის სასაზღვრო კონტროლის პროცედურების შემუშავება და</li> </ul>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>არსებული პროცედურების განახლება - 13 მონაწილე</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტვინინგი: 14 მაისს ჩატარდა ონლაინ სამუშაო SPS ინსპექტირების მოსაკრებლების სისტემის შეფასება- 11 მონაწილე</li> <li>• ტვინინგი: 18-22 ოქტომბერს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა/სწავლება არა-ცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების სასაზღვრო კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით. - 12 მონაწილე</li> <li>• ტვინინგი:15-19 ნოემბერს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა/სწავლება - ფიტოსანიტარული სასაზღვრო კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით. სწავლება TRACES სისტემაში. - 15 მონაწილე</li> <li>• აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაფინანსებით CAREC ქვეყნებისთვის მიმდინარე ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში - „SPS სისტემის მოდერნიზაცია ვაჭრობის გამარტივებისათვის“ 6-10 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ სწავლება ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის რისკის შეფასებასთან დაკავშირებით, რომელსაც დაესწრო 26 წარმომადგენელი შემოსავლების სამსახურიდან.</li> </ul>
<b>ამოცანა 4.4.</b>	<b>სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განხორციელება</b>				
4.4.1 სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურების განხორციელება	განხორციელებული სასაზღვრო სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული პროცედურების რაოდენობა	განხორციელებული პროცედურების შედეგები ასახულია კონტროლის აქტებში - შესაბამის პროგრამულ მოდულში	შემოსავლების სამსახური	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა - 13 287 სასაქონლო პარტიის მიმართ;</li> <li>• ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა - 28 236 სასაქონლო პარტიის მიმართ;</li> </ul>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> <li>არაცხოველური წარმომშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა - 3 705 სასაქონლო პარტიის მიმართ.</li> </ul>
4.4.2 დაახლოებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კანონმდებლობის განხორციელებისთვის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ინფრასტრუქტურის - 1 სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის აშენება/ რეკონსტრუქცია და აღჭურვა	1 სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის დაფინანსება მოძიებულია	შემოსავლების სამსახურის წლიური ანგარიში  rs.ge	შემოსავლების სამსახური	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სურსათის ეროვნული სააგენტო	მიმდინარეობს დონორის მოძიება.
<b>მიზანი 5.</b>	<b>საბაჟო სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასა და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება</b>				
<b>ამოცანა 5.1.</b>	<b>„ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთების და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ „NCTS“ იმპლემენტაციისთვის NCTS კომპიუტერული პროგრამის შექმნა/შესყიდვა</b>				
5.1.1 NCTS პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის შექმნის პროექტის სამუშაო ჯგუფისა და გადაწყვეტილების მიმდებ პირთა მოსამზადებელი და ცნობიერების ამაღლების სემინარები	შემოსავლების სამსახურში ჩატარებული სემინარები	www.rs.ge	სსიპ - შემოსავლების სამსახური		<ul style="list-style-type: none"> <li>2021 წლის 26 იანვარს გაიმართა ონლაინ სემინარი „გაეროს კონვენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ - (UNCTAD)“ და შემოსავლების სამსახურის წარმომდგენლებს შორის. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ინფორმაციის გაზიარება მხარეებს შორის პროექტის შესახებ, არსებული გამოწვევების განხილვა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა.</li> <li>2021 წლის 12 მარტს, გაიმართა პროექტის გახსნითი შეხვედრა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, „გაეროს კონვენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ - (UNCTAD)“ და შემოსავლების</li> </ul>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					სამსახურის წარმომადგენლებს შორის. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სატრანსპორტო სექტორის წარმომადგენლებმა. <ul style="list-style-type: none"> <li>• რეგულარულად მიმდინარეობს ყოველკვირეული ონლაინ სამუშაო შეხვედრები „გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ - (UNCTAD)” და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებს შორის.</li> </ul>
5.1.2 შემოსავლების სამსახურის ტრანზიტის აპლიკაციისა და NCTS შეტყობინებების მართვისა და კავშირისათვის საჭირო კომპონენტის შექმნა	შექმნილია NCTS აპლიკაციის განსაზღვრული კომპონენტები	პროექტის მმართველი კომიტეტის შეხვედრის ანგარიში	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სსიპ - შემოსავლების სამსახური		მიმდინარეობს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება, კერძოდ UNCTAD-ის დახმარებით შეიქმნა ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) პროგრამის პირველადი ვარიანტი, ასევე სატრანზიტო დეკლარაციების მოდული. დასრულდა მუშაობა ავტორიზაციების მოდულის შექმნის მიმართულებით. ამჟამად მიმდინარეობს მთლიანად სისტემისა და მისი ცალკეული მოდულების ტესტირება.
<b>ამოცანა 5.2.</b>	<b>ახალი საბაჟო კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა</b>				
5.2.1 ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების საიმპლემენტაციო ნორმების შემუშავების მიზნით სამუშაო შეხვედრების/სემინარების ორგანიზება	ორგანიზებული შეხვედრების რაოდენობა	rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; შემოსავლების სამსახური		2021 წლის 24 თებერვალს გაიმართა ონლაინ შეხვედრა საბაჟო ადმინისტრაციის და ევრო კომისიის საბაჟო და საგადასახადო დირექტორატის ექსპერტებს შორის სადაც განხილულ იქნა იმპორტის დროს დღგ-ს დაანგარიშების და ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტის შევსების საკითხები;  2021 წლის 26 მარტს, EU TAXUD და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებს შორის გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-10 წიგნის (საბაჟო ვალდებულებებისგან გათავისუფლება) ინტერპრეტაციის და გამოყენების საკითხი. გარდა ამისა, მე-10 წიგნის დებულებების პრაქტიკულ

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც განეკუთვნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების კომპეტენციას, გაიგზავნა მოთხოვნა TAIEX-ს ტექნიკური დახმარების თაობაზე.
5.2.2 ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების საიმპლემენტაციო ნორმების პროექტების შემუშავება	საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების საიმპლემენტაციო ნორმების პროექტები	NCTF საინფორმაციო ფოსტა/შეხვედრის ანგარიში	ფინანსთა სამინისტრო; შემოსავლების სამსახური		საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების საიმპლემენტაციო ნორმების თემაზე გაგზავნილ TAIEX აპლიკაციაზე მიღებულია დადებითი პასუხი. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრების საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. ჯამში დაგეგმილია სამი (თითო 5 დღიანი) სამუშაო შეხვედრის გამართვა კოდექსის კონკრეტულ მუხლებთან მიმართებაში.  ამასთან, საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-10 წიგნის მუხლების იმპლემენტაციის მიზნით, რომელიც ეხება საბაჟო ვალდებულებებისგან გათავისუფლებას, დაგეგმილია TAIEX-ის პროექტის განხორციელება.
5.2.3 საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების პროცედურული სახელმძღვანელოს შემუშავების მიზნით სამუშაო შეხვედრების/სემინარების ორგანიზება	ორგანიზებული შეხვედრების რაოდენობა	www.rs.ge	შემოსავლების სამსახური		2021 წლის 22 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გაიმართა ვებინარი გაშვების შემდგომი შემოწმების საკითხებზე, შემოსავლების სამსახურის შესაბამისი თანამშრომლების მონაწილეობით.
5.2.4 საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების პროცედურული სახელმძღვანელოს შემუშავება	მიღებული პროცედურული სახელმძღვანელო	www.rs.ge	შემოსავლების სამსახური		პროექტის შემუშავება დამოკიდებულია დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შესაბამისი (სამუშაო შეხვედრების) აქტივობების განხორციელებაზე
<b>ამოცანა 5.3.</b>	<b>საქართველოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების (AEO) პროგრამის შემდგომი დაახლოება ევროკავშირის პროგრამასთან</b>				
5.3.1 ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის	ორგანიზებული შეხვედრების რაოდენობა	www.rs.ge	შემოსავლების სამსახური		15 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>პროგრამის პროცედურული სახელმძღვანელოს შემუშავების მიზნით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება</p>					<p>სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გაიმართა ვებინარი ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის საკითხებზე, შემოსავლების სამსახურის შესაბამისი თანამშრომლების მონაწილეობით;</p> <p>15 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით ასევე გაიმართა შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში, შემოსავლებს სამსახურის წარმომადგენლებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ შესაბამისი სფეროს ამერიკელი ექსპერტები,</p> <p>9 სექტემბერს CLDP-ის მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს მიეცათ შესაძლებლობა ვირტუალურად დასწრებოდნენ ამერიკის საბაჟო ადმინისტრაციის, ტერორიზმის წინააღმდეგ საბაჟო-კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის (CTPAT) მიერ, ავტორიზებულ ეკონომიკურ ოპერატორების პროგრამაში ჩართული კომპანიისთვის ჩატარებულ ვირტუალურ ვალიდაციის პროცესს.</p> <p>შემოსავლების სამსახურმა გააკეთა განაცხადი TAIEX-ის ფარგლებში - ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის თემატიკაზე სამუშაო შეხვედრის ორგანიზების მიზნით, რომელიც დამტკიცებულ იქნა, გათვალისწინებული ღონისძიებების შემდგომი კოორდინაციის მოლოდინში.</p>
<p>5.3.2 ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის</p>	<p>მომზადებულია ავტორიზებული</p>	<p>მომზადებული პროექტი;</p>	<p>შემოსავლების სამსახური</p>		<p>შესაბამისი საბაჟო სტრუქტურული ერთეულის მოხმარებისთვის განკუთვნილი AEO-ს</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
პროგრამის პროცედურული სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსიის მომზადება	ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის პროცედურული სახელმძღვანელოს პროექტი	NCTF საინფორმაციო ფოსტა/შეხვედრის ანგარიში			სახელმძღვანელოს პროექტი შემუშავებულ იქნა KGH0-ს მიერ და IFC-ს მხარდაჭერით
5.3.3 ევროკავშირთან AEO-ის ურთიერთ აღიარების მემორანდუმის გაფორმების მიზნით მოლაპარაკებების ინიცირება	ინიცირებული AEO-ს ურთიერთაღიარების მემორანდუმის გაფორმების პროცესი საქართველოსა და ევროკავშირის შორის	საბაჟო ქვეკომიტეტის სხდომის ოქმი - <a href="https://trade.ec.europa.eu/">https://trade.ec.europa.eu/</a>	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; შემოსავლების სამსახური	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	შემოსავლების სამსახურმა ოფიციალური წერილით (N 21-13/20338) მიმართა ევრო კომისიის საბაჟო და საგადასახადო დირექტორატს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის ურთიერთაღიარების საკითხის დაწყების შესახებ, რაზეც მიღებული იქნა საპასუხო წერილი (TAXUD/E4/SH/MKN/IP). მოლაპარაკებების დაწყების აუცილებელ ელემენტად განისაზღვრა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭება სათანადო ოპერატორისთვის და მუშაობის სულ მცირე ერთ წლიანი გამოცდილების აკუმულირება.
<b>მიზანი 6.</b>	დაფუძნების, მომსახურებით ვაჭრობისა და ელექტრონული კომერციის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან				
<b>ამოცანა 6.1.</b>	ტელეკომუნიკაციების, ელ. კომერციისა და ფოსტის მომსახურების სფეროებში ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება და საფოსტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა				
6.1.1 “ელექტრონული კომერციის შესახებ” საქართველოს კანონის მიღება	"ელექტრონული კომერციის შესახებ" მიღებული საქართველოს კანონი	matsne.gov.ge dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		მომზადებულია საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ“. განხორციელდა გარკვეული საკითხების დაზუსტება. საბალოო შეჯამებისთვის იგეგმება შეხვედრების გამართვა დაინტერესებულ მხარეებთან, რის შემდეგაც კანონპროექტი წარედგინება საქართველოს მთავრობას საქართველოს პარლამენტში ინიცირებისთვის.
6.1.2 საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება პირადი ცხოვრების	XV-B დანართით გათვალისწინებულ ევროკავშირის 5 სამართლებრივ აქტთან	matsne.gov.ge dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ (2002/58/EC);

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ (2002/58/EC), ავტორიზაციის შესახებ (2002/20/EC), დაშვების შესახებ (2002/19/EC), ჩარჩო(2002/21/EC) და უნივერსალური მომსახურებების შესახებ (2002/22/EC) ევროკავშირის დირექტივებთან</p>	<p>დაახლოების მიზნით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები</p>		<p>განვითარების სამინისტრო</p>		<p>ავტორიზაციის შესახებ (2002/20/EC); დაშვების შესახებ (2002/19/EC) და ჩარჩო(2002/21/EC) დირექტივებთან მომზადებულია ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, ამასთან, ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული იქნა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება „ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2018/1972/EU დირექტივასთან ევროპული ელექტრონული საკომუნიკაციო კოდის (EECC) დამტკიცების შესახებ“ რაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროკავშირთან, თუ კი აღებული იქნება ვალდებულება ევროკავშირის ახალ კოდთან ჰარმონიზების შესახებ, გაუქმდება ჰარმონიზების ვალდებულება გარკვეულ დირექტივებზე (2002/19/EC, 2002/20/EC, 2002/21/EC, 2002/22/EC) და სამინისტროს ექნება ვალდებულება შეიმუშავოს ახალი საკანონმდებლო რეგულაციები ევროკავშირის EECC კოდთან ჰარმონიზებისთვის.</p> <p>დასრულდა, TAIEX ინსტრუმენტის ფარგლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ექსპერტთა მისიაში მონაწილე ავსტრიის, სლოვენის, იტალიისა და ფინეთის მარეგულირებელი ორგანოებისა და შესაბამისი სამინისტროების ექსპერტებთან, ელექტრონული კომუნიკაციების ახალ ევროპულ კოდექსზე (EECC) ცნობიერების ამაღლების და შესაბამისი რეკომენდაციების მიმართულებით მუშაობა.</p> <p>ამასთან, სამინისტრომ, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ერთად მსოფლიო ბანკთან დაწესებულ „Log-in Georgia“ პროექტის ფარგლებში დაიწყო მუშაობა უნივერსალურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების საკითხებზე, განხორციელდა ინტერესთა</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					გამოხატვა „უნივერსალური სერვისების დანერგვა საქართველოში“.
6.1.3 "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მიღება	მიღებული "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონი	matsne.gov.ge dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		კანონპროექტი "ფოსტის შესახებ" წარედგინა საქართველოს მთავრობას საქართველოს პარლამენტში ინიცირებისთვის. იგი შეიცვალა მთავრობის რეკომენდაციების შესაბამისად. მისი საქართველოს მთავრობისთვის ხელახლა წარდგენამდე, ევროკომისიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები მათ მიერ შემოთავაზებული ახალი ვალდებულების, საზღვრისპირა ამანათების მიტანის შესახებ რეგულაციის ვალდებულებად აღებასთან დაკავშირებით. თუ კი აღებული იქნება ახალი ვალდებულება, საქართველოს განესაზღვრება ჰარმონიზების ახალი ვადა.
<b>მიზანი 7.</b>	სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება				
<b>ამოცანა 7.1.</b>	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება და ამ თემატიკასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების და ინსტრუქციების შემუშავება				
7.1.1 სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ასოცირების შეთანხმების XVI-E, XVI-F, XVI-G, XVI-H, XVI-I, XVI-J, XVI-K დანართების შესაბამისად	"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მიღებული კანონი	matsne.gov.ge procurement.gov.ge spa.ge	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	საქართველოს მთავრობა, სამინისტროები, საქართველოს პარლამენტი	საჯარო შესყიდვების სფეროს კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, საჯარო შესყიდვების შესახებ მომზადებულ ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაასრულა კანონპროექტზე მუშაობა. კანონპროექტში აისახა საქართველოს სამთავრობო უწყებების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონპროექტი ასახავს DCFTA-ით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების თითქმის ყველა ფაზას, თითოეული ფაზის შესაბამისი ვალდებულებების ეტაპობრივად და შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადებში ამოქმედებას.

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					კანონპროექტი დადებითად შეფასდა ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომაზე, რომელიც გაიმართა 2021 წლის 28 მაისს. კომისიის სხდომაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები.
7.1.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონიდან გამომდინარე “მეორადი კანონმდებლობის” - კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება	მიღებული მეორადი კანონმდებლობა	matsne.gov.ge  procurement.gov.ge spa.ge	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		მიმდინარეობს კომპეტენციების განაწილების პროცესი საჯარო შესყიდვების მარეგულირებელ ძირითად და მეორად კანონმდებლობას შორის.  ევროკავშირის დაძმობილების (Twinning) პროგრამის „სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაძლიერება საქართველოში ფარგლებში, პროექტის საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით მომზადდა საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონიდან გამომდინარე შვიდი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. ამჟამად მიმდინარეობს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დამუშავება და ქართული საკანონმდებლო ნორმის შესაბამისად ადაპტირება.
7.1.3 მიღებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონიდან გამომდინარე სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავება და ელექტრონულად გამოქვეყნება ვებ-გვერდზე	გამოქვეყნებული მეთოდური მითითებები, სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები	უწყების წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter;  procurement.gov.ge spa.ge	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		2021 წლის 30 ივნისს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან თანამშრომლობით, მომზადდა და გამოქვეყნდა ბაზრის კვლევის თაობაზე ახალი რეკომენდაცია „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას ბაზრის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით“.  სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადდა და 2021 წლის 01 ოქტომბერს გამოქვეყნდა ახალი რეკომენდაცია „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში დოკუმენტების Excel-ის ფორმატის სახით განთავსებასთან დაკავშირებით“.
<b>ამოცანა 7.2.</b>	<b>სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდერნიზება</b>				

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
7.2.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (e-Procurement) ახალი ელ. სერვისების, პროცედურების და ინსტრუმენტების განვითარება/დანერგვა	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დამატებით დანერგილი სერვისები და შესაძლებლობები	მოდერნიზებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (e-Procurement; Electronic Government procurement system);  უწყების წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter  procurement.gov.ge spa.ge	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აგრძელებს სხვადასხვა აქტივობებს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის (e-Procurement) მოდერნიზაციის მიზნით, მათ შორის სხვა საჯარო უწყებებთან ინფორმაციის სისტემატურად გაცვლის კუთხით: 1. სისტემის მეშვეობით ხაზინაში ელექტრონულად იგზავნება ინფორმაცია კონსოლიდირებულ ტენდერებში დადებული ხელშეკრულების შესახებ; 2. 2020 წლის 2 ივლისს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად და საქართველოს მთავრობის მიღებული დადგენილებების საფუძველზე, განხორციელდა არსებული დავების საბჭოს და SMP მოდულების ძირეული მოდერნიზაცია. ასევე დაემატა გამარტივებული შესყიდვების გასაჩივრების ახალი მოდული და კომერციულ ბანკებთან გაიმართა საჩივრის საფასურის ელექტრონული გადახდების სისტემა ე.წ. „მერჩანტი“; 3. სატესტო რეჟიმში, სისტემის მეშვეობით შემოსავლების სამსახურში ელექტრონულად იგზავნება ტენდერების შესახებ ინფორმაცია; 4. სისტემაში მიმწოდებლებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ტენდერში მონაწილეობის საფასურისა და საგარანტიო თანხების გადახდების ტრანზაქციის შემსრულებელი ბანკის დასახელება.
<b>ამოცანა 7.3.</b>	<b>ადამიანური რესურსების განვითარება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში</b>				
7.3.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონიდან გამომდინარე ტრენინგების განხორციელება	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადამზადებული 20 თანამშრომელი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში;	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		ევროკავშირის დამმობილების (Twinning) პროგრამის „სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, გაიმართა ტრენინგების ციკლი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთათვის:

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლებისათვის		სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter  procurement.gov.ge spa.ge			<ul style="list-style-type: none"> <li>- 16-18 თებერვალი -ტრენინგი სახელმწიფო შესყიდვებში დაგების განხილვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ;</li> <li>- 22-23 თებერვალი -ტრენინგი თემაზე ავეჯის შესყიდვა ცენტრალიზებული შესყიდვის საშუალებით;</li> <li>- 10-11 მარტი - ტრენინგი საჯარო შესყიდვების ახალი კანონის ძირითადი მიმართულებების შესახებ;</li> <li>- 29 მარტი - ტრენინგი თემაზე „უნიფორმების შესყიდვა ცენტრალიზებული შესყიდვის საშუალებით“;</li> </ul> <p>მიმდინარე წლის 24 მარტს, მსოფლიო ბანკის, OECD-ის და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს ექსპერტების მონაწილეობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და ლიბანის საპარლამენტო და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებმა, გამოცდილება გაუზიარეს საჯარო შესყიდვების სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ.</p> <p>2021 წლის 18 მაისს ევროკავშირის პროგრამის EU4 Environment“-ის ფარგლებში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა “სამართლებრივი საფუძვლები მდგრადი საჯარო შესყიდვის დანერგვის კუთხით“. შეხვედრაზე განხილულ იქნა მდგრადი საჯარო შესყიდვის პრინციპები და მისი ასახვის შესაძლებლობა საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის პროექტში.</p> <p>2021 წლის 20 მაისს, ევროკავშირის პროგრამის – „EU4 Environment“-ის ფარგლებში გაიმართა ონლაინ ტრენინგი “ეკო-მარკირების მექანიზმები საქართველოში“, რომელშიც</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა.</p> <p>2021 წლის 9 ივლისს გაიმართა „ონლაინ“ ტრენინგი „საჯარო შესყიდვებში პრიორიტეტული შესყიდვის ობიექტებისათვის მდგრადი შესყიდვების კრიტერიუმის გამოყენების თაობაზე“ ტრენინგი ჩატარდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მჭიდრო თანამშრომლობით. „ონლაინ“ ტრენინგი მიზნად ისახავდა მდგრადი საჯარო შესყიდვების არსის, მისი სარგებლის, ასევე მდგრადი საჯარო შესყიდვების ახალი მიდგომების პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით მომზადებული სამართლებრივი დებულებების და სახელმძღვანელოების შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის გაცნობას.</p> <p>2021 წლის 13-14 დეკემბერს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში გაიმართა სემინარი თემაზე „ფარული სატენდერო გარიგებების გამომჟღავნება და მასთან ბრძოლა“. სემინარს ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და სხვა დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლები.</p>
7.3.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონიდან გამომდინარე	შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური	სახელმწიფო შესყიდვების	სსიპ - სახელმწიფო		2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარდა ძირითადი ონლაინ ტრენინგების 51

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ტრენინგების განხორციელება შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის	ოპერატორების და დაინტერესებული მხარეების გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა: 10 ნაკადი ერთი სასწავლო წლის განმავლობაში	სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter  procurement.gov.ge spa.ge	შესყიდვების სააგენტო		ნაკადი, ჯამში გადამზადდა 1620 ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო უწყებებიდან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი.  2021 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი გადაერთო ტრენინგების ახალ ონლაინ რეჟიმზე, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ტრენინგები რამდენიმე განსხვავებული პროგრამით:  <ul style="list-style-type: none"> <li>„სახელმწიფო შესყიდვები: არსებული რისკები და დამკვიდრებული პრაქტიკა“; - 100 მსმენელი,</li> <li>„გამარტივებული შესყიდვები: ჩამოყალიბებული პრაქტიკა, გამოწვევები, სასარგებლო რჩევები, სააგენტოს რეკომენდაციები“; - 32 მსმენელი</li> <li>სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლობით გასვლითი ტრენინგი - 40 შესყიდვების სპეციალისტი.</li> </ul> <p>2021 წელს ჯამში გადამზადდა 1792 მსმენელი.</p>
<b>მიზანი 8.</b>	<b>ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება</b>				
<b>ამოცანა 8.1.</b>	<b>ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა</b>				
8.1.1 შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისათვის და	შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისა და	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული	სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა	მიმდინარე წლის 14-16 ივნისს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ ფორუმი გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა სემინარები, სადაც ისაუბრეს ინტელექტუალური საკუთრების

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ჩატარება;</p> <p>ევროკავშირის სასამართლოს, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სააპელაციო პალატის საინტერესო და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების კრებულის მომზადება</p>	<p>ადვოკატებისათვის ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა; მომზადებული გადაწყვეტილებების კრებული</p>		<p>ცენტრი - „საქპატენტი“</p>		<p>უფლებების აღსრულების მიმართულებით არსებულ სიახლესა და გამოწვევებზე. ფორუმის ფარგლებში გაიმართა ცნობილი სასაქონლო ნიშნების კონტრაფაქციული პროდუქციის გამოფენა. ფორუმს ესწრებოდნენ საქპატენტის, აღსრულების ორგანოების, შემოსავლების სამსახურის (საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი, საბაჟო დეპარტამენტი), ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის, პროკურატურისა და სასამართლოს წარმომადგენლები, აგრეთვე - პატენტწმუნებულები.</p> <p>მიმდინარე წლის მასში, (Twinning) პროექტის „საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნებისა და კონტროლის სისტემის ეფექტური დანერგვა“ ფარგლებში, ჩატარდა გეოგრაფიული აღნიშვნების უფლებების აღსრულებისა და ბაზრის კონტროლის საკითხებზე სამუშაო შეხვედრა საქართველოს პროკურატურის, ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებისთვის. ტრენინგი მიზნად ისახავდა აღმასრულებელი უწყებების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას გეოგრაფიული აღნიშვნების უფლებების აღსრულებისათვის გამოძიების, მონიტორინგის და ინსპექტირების ღონისძიებების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების დასაწერად.</p> <p>2021 წლის 16 ივნისს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ ფორუმის ფარგლებში, მოსამართლეების მონაწილეობით მრგვალი მაგიდა გაიმართა. შეხვედრაში საქპატენტისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომლობის ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20-მა მოსამართლემ მიიღო მონაწილეობა. ფორუმის ფარგლებში ევროპელმა და ქართველმა მოსამართლეებმა, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ქართული სასამართლო პრაქტიკა და სამართლებრივი პრეცედენტები განიხილეს.</p> <p>2021 წლის 12 ნოემბერს EUGIPP პროექტის ფარგლებში, საქპატენტის თანაორგანიზებით, შეხვედრა გაიმართა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებსა და პროექტში ჩართულ ექსპერტებს შორის, რომლებიც მუშაობენ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების სისტემის დასახვეწად. შეხვედრაზე მონაწილეებმა მოისმინეს პროექტის ექსპერტების მიერ მომზადებული საქართველოსა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების სისტემის შედარებითი ანალიზის ანგარიშები, ასევე, განიხილეს პროექტის ფარგლებში შემუშავებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ადმინისტრაციული, სისხლის სამართლებრივი წესით და საბაჟოზე აღსრულების სახელმძღვანელო.</p> <p>მომზადდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და EUIPO-ს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებების კრებული და მიმდინარეობს მისი რევიზია.</p>
<b>ამოცანა 8.2.</b>	<b>სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ინსტიტუციური გამლიერება</b>				
8.2.1 საქპატენტის თანამშრომელთათვის	თანამშრომელთათვის ორგანიზებული	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალ		15-დან 18 მარტის ჩათვლით საქართველოში საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვა; მესამე ქვეყნების მთავრობებსა და სამრეწველო ასოციაციებთან ორმხრივი შეხვედრების, და სემინარების ორგანიზება, რათა გაზიარებულ იქნას განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება</p>	<p>შეხვედრებისა და ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობა</p>		<p>ური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“</p>		<p>საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების თაობაზე საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით სემინარი ჩატარდა. აშშ-ს კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრას, საქპატენტის თანამშრომლები, პატენტრწმუნებულები, კოლექტიური მართვის ორგანიზაციები და ამ თემით დაინტერესებული სხვა პირები დაესწრნენ.</p> <p>27 აპრილს პატენტრწმუნებულებსა და დაინტერესებულ პირებს განსახილველად წარედგინათ დიზაინის ეროვნულ და საერთაშორისო განაცხადებზე ექსპერტიზის სახელმძღვანელო, რომელიც (EUGIPP) ფარგლებში შეიქმნა. სახელმძღვანელოს შექმნა ემსახურება საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობის და განაცხადებზე ექსპერტიზის ჩატარების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების უზრუნველყოფას. იგი ხელმისაწვდომი იქნება საქპატენტის ექსპერტების, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელებისა და სხვა მოსარგებლეებისთვის.</p> <p>2021 წლის 2 ივლისს ევროკავშირისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ერთობლივი პროექტის (EUGIPP) ფარგლებში, საქპატენტისა და პროექტის გუნდის ორგანიზებით, ჩატარდა სემინარი - “დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები“. სემინარი ემსახურებოდა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სტანდარტებთან დაახლოებას. EUIPO-ს სააპელაციო საბჭოს გამოცდილებაზე</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>დაყრდნობით, საქპატენტის თანამშრომლებმა, პატენტრწმუნებულებმა, მედიატორთა ასოციაციის და საარბიტრაჟო ცენტრების წარმომადგენლებმა გაიზიარეს საკითხთან დაკავშირებული საუკეთესო გამოცდილება, პრაქტიკა და მედიაციის შედეგები.</p> <p>ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების დამშობილების (Twinning) პროექტი - "საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური დაცვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა" 2021 წლის 02 აგვისტოს დაიხურა. პროექტის მთავარი ბენეფიციარი საქპატენტი იყო. პროექტის ფარგლებში მომზადდა საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, გეოგრაფიული აღნიშვნების ლოგო და ოთხი პროდუქტის სპეციფიკაციები. პროექტი ევროკავშირის მხრიდან საქართველოს სექტორული მხარდაჭერის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც 2019 წლის 7 ნოემბერიდან ხორციელდებოდა.</p> <p>2021 წლის 22 სექტემბერს საქპატენტსა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებას შორის ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ევროკავშირისა და საქპატენტს შორის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თანამშრომლობის განმტკიცებას, ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს. კერძოდ, მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობა შეეხება სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინების სფეროს განვითარებას, ასევე, უფლებების აღსრულების, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ერთობლივი საგანმანათლებლო და ცნობიერების</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ასამაღლებელი აქტივობების განხორციელებას. მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების სამიზნე ჯგუფი იქნება საქპატენტის თანამშრომლები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მოსარგებლები და მფლობელები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მცირე და საშუალო მეწარმეებს.</p> <p>2021 წლის 29 ოქტომბერს საქპატენტის ორგანიზებით, EUGIPP პროექტის ფარგლებში, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის - დიზაინის ექსპერტებისთვის, უფლებამფლობელებისა და მოსარგებლებისთვის გაიმართა სემინარი „დიზაინის ეროვნულ და საერთაშორისო განაცხადებზე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“.</p> <p>2021 წლის 10 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით გაიმართა ვებინარი „საავტორო უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციები საქართველოში“. საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის სამუშაო ჯგუფის წევრებმა საქპატენტის წარმომადგენლებსა და მოწვეულ ექსპერტებთან ერთად განიხილეს, საქართველოში კოლექტიური მართვის ორგანიზაციების სისტემის გაძლიერებისაკენ მიმართული მნიშვნელოვანი საკითხები.</p> <p>2021 წ. 15 ნოემბერს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა - „საქპატენტმა“ ოფიციალურად გამოაქვეყნა ეროვნული და საერთაშორისო დიზაინების ექსპერტიზის სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო, რომელიც შემუშავდა EUIPO-ს</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>დიზაინის სახელმძღვანელოს საფუძველზე, განამტკიცებს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ადმინისტრაციულ ჩარჩოს და გააძლიერებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით ადმინისტრირების მომსახურების ხარისხს. გარდა ამისა, იგი ხელს შეუწყობს საქპატენტს ერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღებაში და უზრუნველყოფს საქპატენტის საქმისწარმოების პრაქტიკის შესაბამისობას ევროკავშირის უახლეს პრაქტიკასთან.</p> <p>2021 წლის 19 ნოემბერს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ევროკავშირი-საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის რიგით მე-5 შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი, წარმოადგინეს ინფორმაცია ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების სტატუსთან, დაცვასა და აღსრულებასთან დაკავშირებით, ასევე ევროკავშირისა და საქართველოში ახალ გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებული შიდა პროცედურების შესახებ. შეხვედრაზე ასევე განიხილეს გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის შესახებ საკანონმდებლო და სტრატეგიული მიმართულებების სიახლეები.</p> <p>2021 წ. 22-24 ნოემბერს საქპატენტის თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში (EUIPO), ქალაქ ალიკანტეში. ვიზიტმა საქპატენტის წარმომადგენლებს შესაძლებლობა მისცა, შეხვედროდნენ სხვადასხვა დეპარტამენტების თანამშრომლებს და გაცნობოდნენ EUIPO-ს, როგორც</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ინტელექტუალური საკუთრების წარმატებული უწყების საქმიანობას.</p> <p>2021 წლის 3 დეკემბერს საქპატენტის დელეგაციამ, უკრაინაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გამართა უკრაინის ეკონომიკის სამინისტროს ინტელექტუალური საკუთრების დეპარტამენტისა და უკრაინის ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის („უკრაპატენტი“) წარმომადგენლებთან. შეხვედრების მთავარ მიზანს წარმოადგენდა, უწყებებს შორის არსებული გამოცდილების გაზიარება და სამომავლო ორმხრივი თანამშრომლობის გეგმების განხილვა, კერძოდ: უკრაინასა და საქართველოს შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ ახალი, ყოვლისმომცველი შეთანხმების გაფორმება, რაც ორივე ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და დადებითად აისახება ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე.</p> <p>2021 წლის 6 დეკემბერს ტექნიკური სამუშაო შეხვედრა გაიმართა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ქსელის (EUIPN) ფარგლებში შექმნილი ინსტრუმენტებისა და პრაქტიკის შესახებ, უკრაინაში, კიევში. ღონისძიებაზე, რომელიც ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) მიერ იყო ორგანიზებული, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ინტელექტუალური საკუთრების უწყებების წარმომადგენლები დაესწრნენ. სამუშაო შეხვედრაზე დამსწრე პირები გაეცნენ საქართველოს დელეგაციის მიერ წარმოდგენილ</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					პრევენტივის, EUGIPP პროექტის შინაარსს და მიმდინარეობას.
8.2.2 ევროპის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის დახმარებით (EUIPO) სასაქონლო ნიშნების გზამკვლევის მომზადება	პროექტით გათვალისწინებული შემუშავებული გზამკვლევი	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	-	EUGIPP პროექტის ფარგლებში შეირჩა სასაქონლო ნიშნების გზამკვლევის მომზადებისათვის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაიწყო გზამკვლევზე მუშაობა.
<b>ამოცანა 8.3. ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლება</b>					
8.3.1 ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით	მინიმუმ 200 გადამზადებული პირი, მათ შორის, რეგიონული მასშტაბით.  ჩატარებული ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	-	ინტელექტუალური საკუთრების შესახებ საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი პროექტის (EUGIPP) ერთ-ერთი კომპონენტის - „IP in Education“ ფარგლებში საქართველოს სკოლებში ჩატარდა 240 გაკვეთილი ინტელექტუალურ საკუთრებაზე (01.01.2021 – 01.03.2021). გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა მოსწავლეებმა გამოხატეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებში, რის შედეგადაც მოეწყო გამოფენა 4 სკოლაში.  საანგარიშო პერიოდში საქპატენტის სასწავლო ცენტრმა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის ჩატარა 16 საათიანი სატრენინგო კურსი ინტელექტუალური საკუთრების სამართალში, ამასთან, მონაწილეებმა გაიარეს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის 4 თვიანი სპეციალიზებული პროგრამა - „ინტელექტუალური საკუთრება ახალგაზრდებისთვის“.  2021 წლის მარტში საქპატენტის სასწავლო ცენტრმა, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) ბიბლიოთეკის

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>თანამშრომლებისთვის, საავტორო უფლებების შესახებ სამუშაო შეხვედრა გამართა. ტრეინინგი მოიცავდა საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელთა ცოდნა ხელს შეუწყობს სეუ-ს საბიბლიოთეკო საქმიანობაში საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების კანონიერად გამოყენებას.</p> <p>2021 წლის აპრილში, ათასწლეულის ინიციატივის 2021 წლის კონკურსის ნახევარფინალში გადასული სკოლის მოსწავლეებისთვის ვებინარი „ინტელექტუალური საკუთრება - იდეიდან ინიციატიამდე“ ჩატარდა. ვებინარს ესწრებოდა ნახევარფინალში გასული 30 გუნდის ხელმძღვანელი, ასევე ათასწლეულის ფონდის მენეჯმენტი და კონკურსის შემფასებელი კომისიის წევრები.</p> <p>26 აპრილს საქპატენტის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ვებინარი „თქვენი იდეის კომერციალიზაცია“. ვებინარის მიზანი იყო ბიზნესის, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, გამომგონებლებს, სტარტაპერებს, სტუდენტებს, იურისტებს, პატენტრწმუნებულებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიეღოთ ინფორმაცია, იდეის კომერციალიზაციის გზებისა და მექანიზმების შესახებ.</p> <p>საქპატენტმა და საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მიმდინარე წლის აპრილში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გააფორმეს, რომლის მიზანია ინსტიტუციური თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომლებიც მიმართულია ინტელექტუალური</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>საკუთრების დაცვის სფეროში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაციისა და განვითარებისკენ, სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და კვალიფიციური კადრების მომზადებისკენ.</p> <p>მიმდინარე წლის აპრილში საქპატენტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი განაახლეს. მემორანდუმი ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსის (DL101GE) გავლის შედეგად სტუდენტებისთვის შესაბამისი კრედიტების მინიჭებას, რაც ხელს შეუწყობს დარგში ცნობიერების ამაღლებას, კურსის ცნობადობას და სამომავლოდ დარგის პროფესიონალთა რიცხვის გაზრდას.</p> <p>მიმდინარე წლის ივნისში ჩატარდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (WIPO) და საქპატენტის პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) სასწავლო კურსი „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“. დისტანციურ რეჟიმში, ინტელექტუალური საკუთრების დარგის მიმართულებით დასაქმებული საჯარო უწყებების წარმომადგენლები გაეცნენ სხვადასხვა ქვეყანასა და ორგანიზაციაში არსებულ გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემებს.</p> <p>საქპატენტის მხარდაჭერით ELSA-ს საზაფხულო სკოლა მიმდინარე წლის ზაფხულში მეექვსედ ჩატარდა. მსოფლიოს ექვსი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებმა, ოთხი დღის განმავლობაში ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს ინტელექტუალური საკუთრების სისტემის შესახებ.</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსის (DL101GE) გაზაფხულის სესიის წარჩინებულ 12 კურსდამთავრებულს 2021 წლის 13 სექტემბერს სერტიფიკატები გადაეცა. საქპატენტის ინიციატივით, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO), 12-ვე პირს, მათი ინტერესის გათვალისწინებით, WIPO-ს აკადემიის სპეციალიზებულ კურსს დაუფინანსებს. აღნიშნული ხელს შეუწყობს დარგში ცნობიერების ამაღლებას, კურსის ცნობადობას და სამომავლოდ დარგის პროფესიონალთა რიცხვის გაზრდას.</p> <p>მიმდინარე წელს ინტელექტუალური საკუთრების ახალგაზრდა ელჩი 2021 - წოდება WIPO-მ ახალციხელ მოსწავლეებს მიანიჭა. ისინი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) მანდატით ახალგაზრდებში ინტელექტუალური საკუთრების პოპულარიზაციაზე იზრუნებენ. ერთი წლის ვადით მინიჭებული მანდატი საშუალებას აძლევს ამ ახალგაზრდებს წვლილი შეიტანონ საქართველოს, ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების განვითარებაში. IP Youth Ambassador წარმოადგენს WIPO-ს აკადემიის პროგრამის - IP4Youth&amp;Teachers ფარგლებში შემუშავებულ ერთ-ერთ პროექტს, რომლის მიზანია დასახელებული კანდიდატების მიერ, დარგის მიმართულებით, ცნობიერების ამაღლებისა და ინოვაციების წახალისების ხელშეწყობა თავიანთი ქვეყნების ახალგაზრდებში.</p> <p>2021 წლის 19 ოქტომბერს საქპატენტის სასწავლო ცენტრმა ორგანიზება გაუწია ტრენინგს „საავტორო უფლებები“ საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებისთვის. ტრენინგის</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					ფარგლებში, ზანკის თანამშრომლებმა მიიღეს ინფორმაცია საავტორო უფლებების ყველა იმ ძირითად საკითხზე, რაც მათ საქმიანობის პროცესში ესაჭიროებათ.
8.3.2 საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტებისა და ფლაერების გამოცემა	გამოცემული საინფორმაციო ხასიათის მასალების რაოდენობა	გამოცემული ბუკლეტები და ფლაერები	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	-	საანგარიშო პერიოდში გამოცემულია - 189 ერთეული საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტი და ფლაიერი.
<b>ამოცანა 8.4.</b>	<b>კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების განხორციელება</b>				
8.4.1 ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით; გზამკვლელების შემუშავება	მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის ჩატარებული სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების რაოდენობა; შემუშავებული გზამკვლევი	sakpatenti.gov.ge  მომზადებული გზამკვლევი	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		2021 წლის ივნისის თვეში ქართველი მებაჟეებისთვის გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ ორდღიანი სემინარი გაიმართა. სემინარი ტვინინგის პროექტის „საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური დაცვა და კონტროლის სისტემის დანერგვა“ ფარგლებში ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 25-მა წარმომადგენელმა.
8.4.2 ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება	საბჭოს მიერ ჩატარებული სხდომების რაოდენობა	მომზადებული საბჭოს სხდომის ოქმი; sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორისი საკოორდინაციო სი საბჭო	საანგარიშო პერიოდში უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთვის არ მიუმართავთ უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრით, შესაბამისად საბჭოს სხდომა არ ჩატარებულა.

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
8.4.3 კონტრაფაქციული და პირატული პროდუქციის გამოვლენა, მათ შორის საზღვარზე და დამრღვევი ქმედებების აღკვეთა	გამოვლენილი და გამოძიებული საქმეების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში  dcfta.gov.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;  შემოსავლების სამსახური;  სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		2021 წლის მონაცემებით საბაჟო რეესტრში დარეგისტრირდა 222 ინტელექტუალური საკუთრები ობიექტი. 2021 წლის განმავლობაში საბაჟო დეპარტამენტის მიერ საქონლის შეჩერების შესახებ გამოიცა 267 ბრძანება. აქედან, 215 შემთხვევაში უფლების მფლობელსა და საქონლის მფლობელს შორის შედგა შეთანხმება საქონლის განადგურების თაობაზე. 11 შემთხვევაში უფლების მფლობელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში საქონელი გაშვებულ იქნა, რადგან არ/ვერ დადგინდა საქონლის კონტრაფაქციულობა.
<b>მიზანი 9.</b>	<b>კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების სფეროების განვითარება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით</b>				
<b>ამოცანა 9.1.</b>	<b>ცნობიერების ამაღლება საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებში კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების პოლიტიკის მიმართულებით</b>				
9.1.1 კონკურენციის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით სემინარების და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის	ჩატარებული სემინარებისა და საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	უწყების წლიური ანგარიში  www.competition.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო		2021 წლის განმავლობაში კონკურენციის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების 9 ღონისძიება. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ბიზნეს სექტორის, ადვოკატთა ასოციაციის, მარეგულირებელი ორგანოების, საექსპერტო წრეების, მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების 200-მდე წარმომადგენელმა. მათგან, 3 ღონისძიება ჩატარდა რეგიონებში, რათა ადგილობრივ მეწარმეებს ადგილზე მიეღოთ შესაბამისი ინფორმაცია.  გარდა ზემოაღნიშნულისა, კონკურენციის კანონმდებლობაში 2020 წელს განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ევროკავშირის

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility) ფინანსური მხარდაჭერით, მომზადდა საინფორმაციო ბროშურა. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <a href="https://admin.competition.ge/uploads/9d749de834ba4610b0bdc3c6b3756f87.pdf">https://admin.competition.ge/uploads/9d749de834ba4610b0bdc3c6b3756f87.pdf</a>
9.1.2 ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სემინარების და შეხვედრების ორგანიზება კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის	ჩატარებული სემინარების და შეხვედრების რაოდენობა, მონაწილეთა რაოდენობა	უწყების წლიური ანგარიში  www.competition.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო		2021 წლის განმავლობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებზე ჩატარდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების 8 ღონისძიება. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო საჯარო და ბიზნეს სექტორის, ადვოკატთა ასოციაციის, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების 150-მდე წარმომადგენელმა. მათგან, 3 ღონისძიება ჩატარდა რეგიონებში, რათა ადგილობრივ მეწარმეებს ადგილზე მიეღოთ შესაბამისი ინფორმაცია.
9.1.3 ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით საინფორმაციო მასალების დამზადება და გავრცელება	დამზადებული და გავრცელებული საინფორმაციო მასალების რაოდენობა	უწყების წლიური ანგარიში  www.competition.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო		საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility) ფინანსური მხარდაჭერით, მომზადდა საინფორმაციო ბროშურა „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი პრინციპების თაობაზე. დოკუმენტის გავრცელება მოხდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებულ შეხვედრებზე და მისი ელექტრონული ვერსია ასევე ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <a href="https://admin.competition.ge/uploads/658f26951d184a628d8d9c3d7d83fe17.pdf">https://admin.competition.ge/uploads/658f26951d184a628d8d9c3d7d83fe17.pdf</a>
<b>ამოცანა 9.2.</b>	<b>თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება</b>				
9.2.1 კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ	ჩატარებული ტრენინგების/სემინარები	უწყების წლიური ანგარიში	სსიპ საქართველოს		2021 წლის განმავლობაში, კონკურენციის პოლიტიკის საკითხებზე თანამშრომელთა

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
საკითხებთან (მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებებთან) დაკავშირებით ტრენინგების/სემინარების/სასწავლო ვიზიტების ორგანიზება	ს/სასწავლო ვიზიტების რაოდენობა	www.competition.ge	კონკურენციის ეროვნული სააგენტო		<p>კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩატარდა და მონაწილეობა იქნა მიღებული 19 ღონისძიებაში. კერძოდ, 2020 წელს კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების ჯეროვანი აღსრულების მიზნით, ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility) ფინანსური მხარდაჭერით, სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: კონკურენციის აღსრულება რეგულირებად სექტორებში, ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმება, პირობითი ვალდებულებები, სტრუქტურული და ქცევითი ზომები.</p> <p>სააგენტოს თანამშრომლები ასევე დაესწრნენ აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) სემინარს სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების შესახებ.</p> <p>გარდა ზემოაღნიშნულისა, სააგენტოს თანამშრომლებმა ონლაინ მიიღეს მონაწილეობა UNCTAD-ის, OECD-ის, OECD-JVH RCC-ისა და ICN-ის მიერ ორგანიზებულ სემინარებში. ღონისძიებები ეხებოდა კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს.</p>
9.2.2 ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	ჩატარებული ტრენინგების/სემინარების ს/სასწავლო ვიზიტების რაოდენობა	უწყების წლიური ანგარიში  www.competition.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო		2021 წლის განმავლობაში, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩატარდა 2 ტრენინგი ანტიდემპინგური ღონისძიებების შესახებ. მათგან ერთი გაიმართა ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility) ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო მეორე -

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამასთან (CLDP) თანამშრომლობის ფარგლებში.
<b>მიზანი 10.</b>	<b>მდგრადი განვითარების ხელშეწყობა</b>				
<b>ამოცანა 10.1.</b>	<b>ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და კონსერვაციის ხელშეწყობა</b>				
10.1.1 ევროკავშირთან და ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიასთან (GFCM) თანამშრომლობის გაფართოება, თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის განვითარებისა და არალეგალურ, არადეკლარირებულ და დაურეგულირებელ თევზჭერასთან (IUU) ბრძოლის მიზნით	სარეწაო თევზჭერი გემების ელექტრონული მონიტორინგის სისტემის შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული განსახორციელებელი ქმედებები. არალეგალურ, არადეკლარირებულ და დაურეგულირებელ (IUU) თევზჭერასთან ბრძოლისათვის იდენტიფიცირებული საჭიროებები და დაგეგმილი სამომავლო ქმედებები.	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში <a href="http://dcfta.gov.ge">dcfta.gov.ge</a>	სსდ გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	2021 წლის განმავლობაში ამაღლდა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი კომპეტენციის თანამშრომლების შესაძლებლობები და ცოდნა არალეგალურ, არადეკლარირებულ და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის კონტროლის მიმართულებით. აღნიშნული შედეგი მიიღწა რამდენიმე შესაძლებლობის გამოყენებით, როგორებიც არის: ტრენინგები, შესაბამისი დარგის ექსპერტების მხრიდან ჩატარებული თეორიული ინსტრუქციები IUU თევზჭერის კონტროლის პროგრამის გამოყენებასთან დაკავშირებით და პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც აისახა 2021 წლის ბოლოს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ელექტრონულ ანგარიშგებაში, რომლის დეტალური მონაცემებით მთელი წლის განმავლობაში მიღებულია VMS და ERS ელექტრონული პროგრამებიდან. ზემოაღნიშნული ტრენინგები და პრაქტიკული პროგრამული გაკვეთილები ჩატარდა ფრანგული კომპანია CLS (Collecte Localisation Satellites) მხრიდან, რომელიც გახლავთ თევზჭერის მონიტორინგის სფეროში პროგრამული უზრუნველყოფის სერტიფიცირებული და ავტორიტეტული ორგანიზაცია ევროკავშირის მასშტაბით. აღნიშნული ტრენინგები ჩატარდა სამ სესიად, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					მოდულებს, როგორც არის: CLS-ის მიერ შექმნილი თევზჭერის კონტროლის ელექტრონული პროგრამის თეორიული მიმოხილვა და გაცნობა, პროგრამის პრაქტიკული გამოყენება და სპეციფიკაციები, THEMIS ERS ელექტრონული ანგარიშგების წარმოება გემებსა და მაკონტოლირებელ ორგანოს შორის. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის ბოლოს ოფიციალური მონაცემებით საქართველოს დროშა დატოვებს იმ თევზსაჭერმა სეინერებმა, რომლებიც მავრიტანიის წყლებში აწარმოებდნენ თევზჭერას საქართველოს დროშით, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი აგრძელებს 2022 წელს აღნიშნული აქტივობის კიდევ უფრო გაღრმავებას და ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე გადაყვანას, რათა ბოლომდე იყოს შესრულებული ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია IUU Fishing-ის კონტროლთან.
10.1.2 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და FAO/GFCM-ს შორის მჭიდრო და უწყვეტი თანამშრომლობა	შეხვედრების რაოდენობა და ასევე BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების რაოდენობა, რომელშიც საქართველომ მიიღო მონაწილეობა.	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო; სსდ გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;	მიუხედავად კორონა ვირუსით გამოწვეული შეზღუდვებისა დაგეგმილი შეხვედრები განხორციელდა. BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში სულ ჯამში შედგა 20 შეხვედრა ვირტუალური პლატფორმების მეშვეობით. აგრეთვე, BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში დაგეგმილი კვლევები განხორციელდა, კერძოდ ქაფშიის ჰიდროაკუსტიკური კვლევა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და რაპანას კვლევა შავი ზღვის აკვატორიისთვის, რომლებშიც საქართველო მონაწილეობა.
10.1.3 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების ახალ ტყის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა	ახალი ტყის კოდექსის შესაბამისად შემუშავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის		კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“, „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ“, „საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემის, კატეგორიზაციისა და მონიტორინგის წესის

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
		dcfta.gov.ge	სამინისტრო		შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ და „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ.  2021 წლის მეოთხე კვარტალის განმავლობაში მიდინარეობდა აქტიური სამუშაოები „ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესახებ“ დებულებაზე, იგი განხილვის ბოლო ეტაპზეა, რის შემდეგაც წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.
10.1.4 ტყისა და მიწათსარგებლობის ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების მხარდაჭერი სისტემის გაუმჯობესება	შემუშავებული ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის ძირითადი მოდულები	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		მიმდინარეობს FIMS-ის „ტყის მართვის გეგმის ინვენტარიზაციის“ პროგრამის გატესტვა და მონაცემების შეყვანა. პროგრამის მიზანია ტყეში შეროვებული მონაცემების ანალიზი და ტყის მართვის 10 წლიანი გეგმის მომზადება. შესრულების ბოლო ეტაპზეა FIMS -ის „საველე აქტების აღრიცხვის სისტემის“ პროგრამის შემუშავება. პროგრამა ითვალისწინებს ინსპექტირებისთვის ელექტრონული საველე აქტის შემუშავებას და მონაცემების ანალიზს.
10.1.5 ტყის მდგრადი მართვის შედეგად წარმოებული ხე-ტყის ნაწარმით ვაჭრობისთვის ხელის შეწყობა	ქვეყანაში მოწყობილია 25 საქმიანი ეზო	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		ტყის მდგრადი მართვის შედეგად წარმოებული ხე-ტყის ნაწარმით ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მასშტაბით მოეწყო საქმიანი ეზოები, კერძოდ: კახეთში-8 საქმიანი ეზო, შიდა ქართლში-5, სამცხე-ჯავახეთში- 6, მცხეთა-მთიანეთში-9, იმერეთში-2, გურიაში-2, რაჭა-ლეჩხუმში კი 2 საქმიანი ეზო. საერთო ჯამში, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 34 საქმიანი ეზო.
<b>ამოცანა 10.2.</b>	<b>კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების/ხელშეკრულებების შესრულება</b>				
10.2.1 ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის	საქართველოს მთავრობის მიერ	ეროვნულ დონეზე განსაზღვრული	საქართველოს გარემოს		ეროვნულად განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი შემუშავებულია და დამტკიცებულია

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
(NDC) საბოლოო ვერსიის შემუშავება და დამტკიცება	დამტკიცებული დოკუმენტი;  კონვენციის სისტემაში დარეგისტრირებული დოკუმენტი	წვლილის დოკუმენტი განთავსებულია NDC - ის საჯარო რეგისტრაციის ვებ-გვერდზე  <a href="https://www4.unfccc.int/sites/NDCStaging/Pages/All.aspx">https://www4.unfccc.int/sites/NDCStaging/Pages/All.aspx</a>	დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 აპრილის №167 დადგენილებით.  ამის შემდეგ დოკუმენტი წარდგენილ იქნა გაეროს კლიმატის ჩარჩოს კონვენციის სამდივნოს წინაშე. შედეგად დოკუმენტი განთავსებულია სამდივნოს ვებ-გვერდზე.
10.2.2 კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის მომზადება და დამტკიცება	საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლის სამოქმედო გეგმა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში  dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		კლიმატის ცვლილების სტრატეგია (2030) და სამოქმედო გეგმა (2021-2023) შემუშავებულია და დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 აპრილის №167 დადგენილებით.
10.2.3 გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების (FNC) საბოლოო ვერსიის შემუშავება და კონვენციის სამდივნოში წარდგენა	კონვენციის სამდივნოში წარდგენილი FNC	მეოთხე ეროვნული შეტყობინების დოკუმენტი განთავსებულია კონვენციის ვებ გვერდზე -  www.unfccc.int	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		2021 წელს დასრულდა საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების შემუშავება და დოკუმენტი წარდგენილ იქნა გაეროს კლიმატის ჩარჩოს კონვენციის სამდივნოს წინაშე მიმდინარე წლის 5 აპრილს.
<b>ამოცანა 10.3.</b>	<b>შრომის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად</b>				
10.3.1 დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესების შესახებ, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული	საინფორმაციო შეხვედრებისა და გაწეული კონსულტაციების რაოდენობა	www.moh.gov.ge	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური	სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, შრომის ინსპექციის მანდატის ზრდის პარალელურად, სამსახურის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით ჩატარდა 180-მდე სამუშაო/საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა 9000-მდე პირთან, მათ შორის 60-მდე სამუშაო შეხვედრა ბიზნესთან რეკომენდაციების შემუშავების მიმართულებით.

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
და საერთაშორისო კანონმდებლობიდან			დაცვის სამინისტრო		<p>გარდა ამისა, დამსაქმებელთა და დასაქმებულთათვის ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული ღონისძიებების აღსრულების მიზნით ცნობიერების ამაღლების მიმართულებით სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლების მიერ სსიპ-შემოსავლების სამსახურის, სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოსა და მუნიციპალური საზედამხებველო სამსახურების ჩართულობით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 44361 სარეკომენდაციო ხასიათის აქტივობა.</p> <p>ამუშაო ადგილებზე COVID-19-ის გავრცელების პრევენციის, შრომის ინსპექციის მანდატის შესახებ რეგიონულ დონეზე სხვადასხვა სამთავრობო უწყების ორგანიზებით და შრომის ინსპექციის წარმომადგენლების ჩართულობით ჩატარდა 25 ტრენინგი დისტანციურ/პირდაპირ ფორმატში რომლის დროსაც გადამზადდა 1200-მდე რეგიონული/სექტორული ბიზნესის წარმომადგენელი.</p> <p>გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სამინისტროს, განათლების სამინისტროსა და სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურს შორის 2021 წლის 7 ივლისს გაფორმებული სამმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოხალისე სტუდენტები სამუშაო ადგილებზე COVID-19-ის პრევენციის მიზნით დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების გადამზადებულ იქნა შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, რომლის შედეგად მოხალისე სტუდენტების „შრომის უსაფრთხოების</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					დესპანების“ მიერ სამუშაო ადგილებზე COVID-19 ის გავრცელების პრევენციის მიზნით 1 212 ობიექტს მიეწოდა ინფორმაცია დამტკიცებული რეკომენდაციების შესახებ, რომელიც ჯამში 9200-მდე დასაქმებულ პირს შეეხო.
10.3.2 დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა შრომის შესახებ	ბავშვთა შრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	www.moh.gov.ge	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური	სსიპ შრომის ინსპექციის აქტიური ჩართულობით შრომით უფლებებზე, მათ შორის ბავშვთა შრომის ამკრძალავი ნორმების შესახებ ინფორმაცია გაზიარებულ იქნა 48 სამუშაო/საინფორმაციო ხასიათის შეხვედრისას.  "შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით შრომის პირობებზე ზედამხედველობისას განხორციელებული 1422 ინსპექტირებისას (მოიცავს პირველად და განმეორებით ინსპექტირებას) მუდმივად ხდება შრომის ინსპექტორთა მიერ ბავშვთა შრომის საკითხების მონიტორინგი და დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლება ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.
10.3.3 შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის გარდაქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და მისი ინსტიტუციური გაძლიერება სოციალური პარტნიორებთან თანამშრომლობით	შექმნილია სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური;  შესაბამისი ადამიანური რესურსით დაკომპლექტებული სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური;  შრომის ინსპექტორთა შესაძლებლობების ზრდის მიზნით გატარებული ღონისძიებების რაოდენობა	matsne.gov.ge  შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში  www.moh.gov.ge	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		2021 წლის 1 იანვრიდან „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის დებულების შესაბამისად ფუნქციონირებას შეუდგა სტრუქტურულად დამოუკიდებელი აღმასრულებელი ორგანო - სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, რომლის მიზანს წარმოადგენს გაზრდილი მანდატის ფარგლებში შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.  2021 წლის იანვრიდან სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს თანამშრომელთა აყვანის პროცედურები. აღსანიშნავია, რომ 2021 წლიდან ფუნქციონირებას შეუდგნენ აჭარისა და იმერეთის რეგიონული

**საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სამმართველოები და დღემდე შესარჩევი კონკურსი სხვადასხვა ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა 7-ჯერ. მუდმივად მიმდინარეობს ვაკანტური პოზიციების შევსება კონკურსის წესით. გარდა ამისა, ინტენსიურად მიმდინარეობს საჭიროებებზე დაფუძნებული გადაზიდვების მოქმედი თუ ახლად დასაქმებული ინსპექტორებისთვის.</p> <p>შრომის ინსპექტორთა პროფესიული მომზადება-გადამზადება შექმნის დღიდანვე ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. გამომდინარე იქედან, რომ უშუალოდ სფერო საკმაოდ მრავლის მომცველია და მანდატის გაფართოების პარალელურად უმნიშვნელოვანესია კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მუდმივი მონიტორინგის საკითხი, ამ მიმართულებით შრომის ინსპექცია მჭიდროდ თანამშრომლობს თემატურად დაკავშირებულ საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციებთან. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (PSD TVET SC), ევროკავშირის დამმობილების პროექტის (EU TWINNING Project) „საქართველოში შრომის პირობების/შრომითი ურთიერთობების, აგრეთვე სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება“, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG), სახალხო</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>დამცველის, იუსტიციის სამინისტროს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის როლი.</p> <p>საანგარიშო პერიოდში განხორციელდა, 6 სხვადასხვა ფუნდამენტურ/ტექნიკურ თემატიკაზე შრომის ინსპექტორთა პროფესიული მომზადება/გადამზადება, მოკლევადიანი ინტენსიური ტრენინგებისა თუ გრძელვადიანი ტრენინგ პროგრამების მეშვეობით.</p>
<p>10.3.4 შრომის ინსპექციის ფუნქციონირება კანონმდებლობით განსაზღვრული, გაფართოებული მანდატის შესაბამისად</p>	<p>შემოწმებული კომპანიების და გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა;</p> <p>შესრულებული რეკომენდაციების რაოდენობა</p>	<p>შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში</p> <p><a href="http://www.moh.gov.ge">www.moh.gov.ge</a></p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური</p>	<p>2021 წლის საანგარიშო პერიოდში სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ან უშუალო ჩართულობით განხორციელდა 58 712 აქტივობა, რომელიც მოიცავდა 13598 ობიექტზე ინსპექტირებას, უბედური შემთხვევის მოკვლევას ან/და ცნობიერების ამაღლების მიზნით ინფორმაციის გაზიარებას. კერძოდ, განხორციელებული აქტივობები შემდეგნაირად განაწილდა:</p> <p>"შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მასშტაბით შრომის პირობებზე ზედამხედველობისას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად 956 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება განხორციელდა 432 ობიექტზე. (შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე გაიცა 3198 მითითება);</li> <li>2. საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრული ნორმების აღსრულებაზე ზედამხედველობის მიზნით განხორციელდა 327 ინსპექტირება 249 ობიექტზე.</li> </ol>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>(გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე გაიცა 1766 მითითება);</p> <p>3. „იმულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N112 დადგენილების ფარგლებში ახორციელებს ზედამხედველობას, რომლის შედეგად არსებული მდგომარეობით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 139 ინსპექტირება 139 ობიექტზე, რომელთაგან 137 იყო გეგმური, ხოლო 2 არაგეგმური;</p> <p>4. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული ღონისძიებების აღსრულების კუთხით, საქართველოს მასშტაბით, ჯამში განხორციელდა 57 290 აქტივობა 12 778 ობიექტზე.</p>
10.3.5 სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის რეგულარული შეხვედრების უზრუნველყოფა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების განხილვა	სამმხრივი კომისიის და კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომის ოქმები	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის წევრი უწყებები/ორგანიზაციები	<p>გაიმართა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2 შეხვედრა. სამუშაო ჯგუფმა განიხილა საკითხები, რომლებიც უკავშირდებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) N183 დედობის დაცვის შესახებ და N189 შინამეურნეობებში დასაქმებულთა ღირსეული შრომის შესახებ კონვენციების რეგულირების გავლენის ანალიზის (RIA) შესახებ ანგარიშებს, ამ კონვენციების რატიფიცირების მიზანშეწონილობის შეფასების მიზნით, ასევე საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით კანონქვემდებარე აქტების პროექტებს.</p> <p>2021 წლის 18 ნოემბერს გაიმართა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა:</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> <li>- გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ მომზადებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დედობის დაცვის შესახებ N183 და შინამეურნეობებში დასაქმებულთა ღირსეული შრომის შესახებ N189 კონვენციების რეგულირების გავლენის ანალიზის შესახებ ანგარიშები;</li> <li>- სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალი;</li> <li>- სოციალური კოდექსის რეფორმა და სხვ.</li> </ul>
<b>მიზანი 11.</b>	<b>DCFTA-ს განხორციელების ეფექტიანი კოორდინაციის და კომუნიკაციის უზრუნველყოფა</b>				
<b>ამოცანა 11.1.</b>	<b>DCFTA-ის სარგებელის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება</b>				
11.1.1 DCFTA-ს შესახებ ვებ ვერდის ეფექტიანი ფუნქციონირება	<p>ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა</p> <p>გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების პროექტების რაოდენობა</p>	<p>DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში</p> <p>Dcfta.gov.ge</p>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		<p>2021 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის მეორე ფაზის მხარდაჭერით განხორციელდა ვებგვერდის განახლება, დაიხვეწა აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების საშუალებები და გახდა მომხმარებელზე მეტად ორიენტირებული. მუდმივად ხორციელდება საიტზე განთავსებული ინფორმაციის განახლება.</p>
11.1.2 DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება	მინიმუმ 1 შეხვედრა	<p>DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში</p> <p>Dcfta.gov.ge</p>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		<p>2021 წლის 24 ნოემბერს ონლაინ რეჟიმში გაიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოსა (TAG) და ამავე საბჭოს ფარგლებში არსებული ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის (DAG) გაერთიანებული შეხვედრა, გაფართოებული ფორმატით. საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრაზე განხილულ იქნა ინფორმაცია თურქეთ-საქართველო-ევროკავშირის შორის დიაგონალური კუმულაციის ამოქმედებასთან</p>

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					დაკავშირებით USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში (განმახორციელებელი PMCG) მიმდინარე კვლევასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე ასევე განხილული იქნა ინფორმაცია საქართველოს ლაბორატორიული (ინდუსტრიული მიმართულებით) შესაძლებლობების კვლევის თაობაზე, რომლის მიზანია ადგილობრივი ლაბორატორიების განვითარების მიზნით პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირება.
11.1.3 DCFTA-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		აქტივობა არ განხორციელებულა COVID-19 ის პანდემიის გამო.
11.1.4 DCFTA-ის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ბეჭდური მასალების მომზადება და გამოცემა	გამოცემული ბეჭდური მასალების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		თემატური შეხვედრები, სადაც უნდა მომხდარიყო აღნიშნული ბეჭდური მასალების გავრცელება არ განხორციელებულა COVID-19- ის პანდემიის გამო, შესაბამისად ბეჭდური მასალები ამ ეტაპზე არ გამოცემულა
<b>ამოცანა 11.2.</b>	<b>საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების ხელშეწყობა ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი განხორციელებისთვის</b>				
11.2.1 DCFTA-ის განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის შეხვედრების ორგანიზება	მინიმუმ 1 შეხვედრა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		2021 წლის 27 იანვარს, ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის მეშვეობით) ჩატარდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ს) განხორციელების საკოორდინაციო უწყებათაშორისი ქვეკომისიის

**საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში**

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
		Dcfta.gov.ge			მე-13 შეხვედრა. ქვეკომისიის ფარგლებში განხილულ იქნა DCFTA-ის განხორციელების მიმართულებით პროგრესი და სამომავლო გეგმები. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ს) განხორციელების საკოორდინაციო უწყებათაშორისი ქვეკომისიის მე-14 შეხვედრა 2021 წლის 25 ნოემბერს გაიმართა ონლაინ რეჟიმში (Webex-ის მეშვეობით).
11.2.2 DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი (2021-2023 წწ.) გეგმის განხორციელების მიზნით 2022 წლის გეგმის შემუშავება	მიღებულია DCFTA-ის განხორციელების ყოველწლიური გეგმა	Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		შემუშავდა DCFTA-ს განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.
11.2.3 DCFTA-ს განხორციელების ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშის შემუშავება და გამოქვეყნება	მომზადებული DCFTA-ს განხორციელების ანგარიშები	Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		მომზადდა და DCFTA.gov.ge ვებგვერდზე გამოქვეყნდა DCFTA-ს განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების 9 თვის ანგარიში.